ანგარიში/ 2016

'16

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი

საქპატენტი

SAKPATENTI

NATIONAL INTELLECTUAL PROPERTY CENTER OF GEORGIA

www.sakpatenti.org.ge

სარჩევი

5	წინასიტყვაობა
7	ღონისძიებები 2016
22	საერთაშორისო ურთიერთობები
26	კონფერენციები
34	სასაქონლო ნიშანი
36	გეოგრაფიული აღნიშვნა და ადგილწარმოშობის დასახელება
38	დიზაინი
40	გამოგონება და სასარგებლო მოდელი
42	მცენარეთა და ცხოველთა ახალი ჯიშები
44	საავტორო უფლებები
46	კანონშემოქმედება და სამართალწარმოება
47	საზოგადოებასთან ურთიერთობა, საგამომცემლო და საგანმანათლებლო საქმიანობა
49	ფინანსები
50	სტატისტიკური მონაცემები
60	სამოქმედო გეგმა 2016

გამომცემელი:
სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების
ეროვნული ცენტრი – „საქპატენტი“
(საზოგადოებასთან და მასმედიასთან ურთიერთობის განყოფილება)
3300, მცხეთა, საქართველო, ანტიოქიის ქ. №5
ტელ.: +995 32 2252533; ელ. ფოსტა: info@sakpatenti.org.ge
www.sakpatenti.org.ge
https://facebook.com/sakpatenti.ge/

წინასიტყვაობა

ძვირფასო მკითხველო,

წარმოგიდგენთ ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ წლიურ ანგარიშს, რომელშიც გაეცნობით დეტალურ ინფორმაციას 2016 წელს უწყების ძირითადი საქმიანობისა და ყველა იმ პროექტისა თუ აქტივობის შესახებ, რომელიც განხორციელდა წლის მანძილზე დასახული მიზნებისა და პრიორიტეტული მიმართულებების შესაბამისად.

2016 წელს საქპატენტი კვლავ აქტიურობდა საერთაშორისო ასპარეზზე. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველო გახდა ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციაში (WIPO) ადგილწარმოშობის დასახელებების დაცვის ლისაბონის შეთანხმებისა და ლისაბონის შეთანხმების ჟენევის აქტის სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე. მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს წარმომადგენელი პირველად თავმჯდომარეობს WIPO-ში სამუშაო ჯგუფს, რაც საქპატენტის წარმატებული საერთაშორისო აქტიურობის შედეგად უნდა მივიჩნიოთ.

გასულ წელს საქპატენტმა უმასპინძლა მაღალი რანგის არაერთ თანამდებობის პირს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყების (EUIPO) აღმასრულებელი დირექტორის ანტონიო კამპინოსის ვიზიტი, რომელიც პრემიერ-მინისტრის გიორგი კვირიკაშვილის მოწვევით პირველად ესტუმრა ჩვენს ქვეყანას. ამ ვიზიტის შედეგად საქართველოსა და EUIPO-სთან თანამშრომლობა სრულიად ახალ საფეხურზე გადავიდა. აგრეთვე, გეოგრაფიული აღნიშვნების განვითარებისა და პროდუქციის ბრენდირების საერთაშორისო პრაქტიკის დანერგვის ხელშემწყობი პროექტების განხილვის მიზნით, საქართველოს პირველი ოფიციალური ვიზიტით ეწვია WIPO-ს გენერალური დირექტორის მოადგილე ბინინ ვანგი. აღნიშნულმა ვიზიტმა კიდევ ერთხელ დაადასტურა საქართველოსადმი მხარდაჭერა და ხაზი გაუსვა საქართველოს როლს საერთაშორისო ასპარეზზე გეოგრაფიული აღნიშვნების პოპულარიზაციისა და განვითარების კუთხით.

2016 წელი გამოირჩევა გლობალური პროექტების განხორციელების თვალსაზრისითაც. განსაკუთრებით წარმატებული იყო სხვადასხვა პროექტი რომელიც, განხორციელდა ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყებასთან ერთად. კერძოდ, მოხდა EUIPO-ს მონაცემთა ბაზებში TM View და DS View საქპატენტის სასაქონლო ნიშნების და დიზაინების მონაცემთა ბაზების ინტეგრირება, რითაც უცხოელ მომხმარებლებს საშუალება მიეცათ საქართველოში რეგისტრირებული ნიშნების შესახებ ინფორმაცია EUIPO-ს ვებგვერდიდან მოიძიონ. ქართველ მომხმარებლებს კი შესაძლებლობა გაუჩნდათ EUIPO-ს მონაცემთა ბაზებში ძიება ქართული ინტერფეისის გამოყენებით განახორციელონ. საქპატენტი, ასევე, მიუერთდა TMclass-ის პროგრამას, რომელიც საქონლისა და მომსახურების ჩამონათვალის 42 ენაზე ძიებისა და თარგმნის საშუალებას იძლევა.

გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები სამრეწველო საკუთრების ობიექტებზე ექსპერტიზის პროცედურის შემდგომი განვითარებისა და გაუმჯობესებისათვის. შედგა არაერთი სამუშაო ვიზიტი და ექსპერტების კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგი. ექსპერტიზის ხარისხის გაუმჯობესებაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ, გასული წლების მსგავსად, 2016 წელსაც შენარჩუნდა სააპელაციო საჩივრების რაოდენობის კლების ტენდენცია და შეადგინა 7%. ამასთან, 35%-მდე შემცირდა დაკმაყოფილებული საჩივრების რაოდენობაც.

გასულ წლებში ჩატარებულმა აქტიურმა მუშაობამ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისათვის ინტელექტუალური საკუთრების დაცვის მნიშვნელობისა და დარგის პოპულარიზაციის კუთხით, თავისი შედეგები გამოიღო, რაც გამოიხატა სხვა და სხვა მიმართულებით განაცხადების მნიშვნელოვან მატებაში. კერძოდ, 2016 წელს დაფიქსირდა სასაქონლო ნიშნების ადგილობრივი განაცხადების 30%-იანი მატება; საფასურებზე 70%-იანი შეღავათის დაწესების შედეგად, 50%-მდე გაიზარდა უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების სახელით მიღებული გამოგონების განაცხადების რაოდენობა; გასულ წელთან შედარებით 100%-ით მოიმატა მცენარეთა და ცხოველთა ახალ ჯიშებზე შემოსული განაცხადების რაოდენობამაც; გარდა ამისა, საანგარიშო წელს 45%-ით გაიზარდა დეპონირებული ობიექტების რაოდენობაც. აღნიშნული მაჩვენებლები წლიდან წლამდე მატულობს, რაც გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ, რომ, გატარებული ღონისძიებების შედეგად, ამაღლდა ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის დაინტერესება ინტელექტუალური საკუთრების დაცვის მიმართ.

ვინაიდან ინტელექტუალური საკუთრების სფერო მუდმივად ვითარდება, საქპატენტის გუნდი ცდილობს ფეხი აუწყოს მოწინავე ქვეყნებს და საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების სისტემა მსოფლიო სტანდარტებს დაუახლოვოს. ამ მხრივ, 2016 წელს ჩვენს წინაშე მდგარ ამოცანებს წარმატებით გავართვით თავი და ვიმედოვნებთ, რომ მომავალ წელსაც გვექნება საფუძველი გაგიზიაროთ ახალი მიღწევები.

ნიკოლოზ გოგილიძე – თავმჯდომარე
სსიპ საქართველოს ინტელექტუალური
საკუთრების ეროვნული ცენტრი – „საქპატენტი“

'16

ლონისძიებები

ღონისძიებები/ 2016

იანვარი

12

საქპატენტის ოფისში გაიმართა სამუშაო შეხვედრა ინტელექტუალური საკუთრების კომერციალიზაციის თემაზე. აღნიშნულ შეხვედრაზე უმაღლესი სასწავლებლების, სახელმწიფო უწყებებისა და კერძო კომპანიების წარმომადგენლებისთვის, ესტონელმა და ქართველმა ექსპერტებმა განიხილეს ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვის მექანიზმები, ტექნოლოგიების გადაცემის სისტემები და უნივერსიტეტებში ინტელექტუალური საკუთრების კომერციალიზაციის მექანიზმები. ასევე, ექსპერტებმა მონაწილეებს გააცნეს ესტონეთის წარმატებული პროექტი „ინოვაციური ვაუჩერების სისტემა“.

12

საქპატენტის მოწვევით საქართველოს სამუშაო ვიზიტით ეწვია ესტონეთის ინტელექტუალური საკუთრებისა და ტექნოლოგიების გადაცემის ცენტრის დირექტორი მარიუს კუნინგასი. მომავალი თანამშრომლობისა და ერთობლივი პროექტების დაგეგმვის მიზნით ესტონეთის დელეგაციამ, ვიზიტის ფარგლებში, გამართა ორმხრივი შეხვედრები შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდისა და საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს წარმომადგენლებთან.

15

“U.S. News”-ის მიერ 2015 წელს ნიუ-იორკის საუკეთესო პატენტრწმუნებულად დასახელებულმა სტივენ ლიმ საქპატენტის ოფისში წაიკითხა ლექცია თემაზე: „აშშ-ს საპატენტო დავები ფარმაცევტულ სფეროში ინტელექტუალური საკუთრების კუთხით“. ლექციას ესწრებოდნენ საქართველოს პატენტრწმუნებულები, ფარმაცევტული კომპანიების წარმომადგენელთა ასოციაციის წევრები, საქპატენტის იურისტები და ექსპერტები. სტივენ ლი ბოლო 30 წლის განმავლობაში მოღვაწეობს იურიდიულ ფირმაში „Kenyon & Kenyon“, რომელიც სპეციალიზებულია ინტელექტუალური საკუთრების სამართლის მიმართულებით.

18

სტრასბურგის უნივერსიტეტის ინტელექტუალური საკუთრების საერთაშორისო ცენტრის (CEIPI) ორგანიზებით გამართულ ევროპის საპატენტო სისტემის შესახებ სემინარში მონაწილეობა მიიღო საქპატენტის წარმომადგენელმა. აღნიშნულ სემინარზე განიხილებოდა ევროპის საპატენტო კონვენციის როგორც პროცედურული, ისე არსობრივი საკითხები. სემინარზე მიღებული ცოდნა სასარგებლო იქნება საქპატენტის საკანონმდებლო საქმიანობისთვის, რომელიც ითვალისწინებს საქართველოს საპატენტო კანონმდებლობის ჰარმონიზებას ევროპის საპატენტო კონვენციასთან. (სტრასბურგი, საფრანგეთი)

20

საქპატენტის ბაზაზე შექმნილ ინტელექტუალური საკუთრების სასწავლო ცენტრში ჩატარდა ინტელექტუალური საკუთრების სამართლის პირველი კურსი. აღნიშნული ცენტრის სერტიფიკატები გადაეცათ თბილისის მერიის „სამართლებრივი დახმარებისა და საზოგადოებრივი ჩართულობის მუნიციპალური ცენტრის“ და სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატებს. კურსის მიზანია პრაქტიკოსი იურისტების ცოდნის გაღრმავება ინტელექტუალური საკუთრების სამართალში. ლექციები, რომელსაც უძღვებიან საქპატენტის ხელმძღვანელი პირები, მოიცავს 26 საათს და ტარდება კვირაში 2-ჯერ 2 საათის ხანგრძლივობით.

21

საქართველოს ორდღიანი ვიზიტით ეწვია ბულგარეთის საპატენტო უწყების დელეგაცია ვიცე პრეზიდენტის დავიდ სუკალინსკის ხელმძღვანელობით. ვიზიტის ფარგლებში, ხელი მოეწერა საქართველოს და ბულგარეთის ინტელექტუალური საკუთრების უწყებათა შორის ურთიერთობების სამუშაო გეგმას, რომელიც მოიცავს ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებას ინტელექტუალური საკუთრების სფეროში მნიშვნელოვან საკანონმდებლო აქტივობებზე, ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების რეგისტრაციასთან და მომსახურებასთან დაკავშირებულ პრაქტიკასა და ექსპერტთა კვალიფიკაციის ამაღლებას.

26

ინტელექტუალური საკუთრების სფეროში აშშ-ს მთავრობის მხარდაჭერით განხორციელებული პროექტების მიმდინარეობას გაეცნო საქართველოში აშშ-ს ელჩი იან კელი საქპატენტში გამართულ შეხვედრაზე. ელჩმა და საქპატენტის თავმჯდომარემ ისაუბრეს მომავალი თანამშრომლობის გეგმებზე, კერძოდ, აშშ-ს მთავრობის მხარდაჭერაზე საქპატენტის სამოქმედო გეგმის განხორციელებაში, რომელიც მიზნად ისახავს ინტელექტუალური საკუთრების სასწავლო ცენტრის პროექტის მხარდაჭერას, ექსპერტიზის სრულყოფას, საინოვაციო საქმიანობის და ბრენდინგის სისტემის განვითარების ხელშეწყობას.

27

საქპატენტისა და კომპანიის „მაიკროსოფტ საქართველოს“ ორგანიზებით აუდიტორული კომპანიების წარმომადგენლებისთვის გაიმართა სამუშაო შეხვედრა კომპიუტერული პროგრამების ინტელექტუალური საკუთრების დაცვის საკითხებთან დაკავშირებით. შეხვედრაზე განხილულ იქნა ლიცენზირებული პროგრამების უპირატესობები, საერთაშორისო და ადგილობრივი გამოცდილება კიბერ უსაფრთხოების მიმართულებით, ინტელექტუალური საკუთრების დასაცავად მიღებული ზომები და საქართველოში კომპიუტერული პროგრამების დაცვის სამართლებრივი მექანიზმები.

თებერვალი

1

გაიმართა საქართველო-ბულგარეთის მთავრობათაშორისი სავაჭრო, ეკონომიკური, სამეცნიერო და ტექნიკური კომისიის მე-5 სხდომა, რომელზეც განხილულ იქნა ორმხრივი თანამშრომლობის პერსპექტივები სხვადასხვა სფეროებში, მათ შორის, ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სფეროში.

12

საქპატენტმა სპეციალური პრიზით დააჯილდოვა „ათასწლეულის ინოვაციის კონკურსის“ მე-3 ადგილზე გასული გუნდი პროექტით: „მემბრანული კინემატიკური წყვილებიანი ორიგინალური განშლადი კონსტრუქციის დიზაინი“. ასევე, ფინალისტები ეწვივნენ საქპატენტს და გაეცნენ მის საქმიანობას, საკვლევი ობიექტის წინასწარი ძიების მექანიზმებსა და ადგილზე ნახეს საპატენტო ექსპერტიზის მიმდინარეობის პროცესი. მიღებული ინფორმაცია გამარჯვებული გუნდის წევრებს დაეხმარება ახალი პროექტების შემუშავებასა და შექმნაში. „ათასწლეულის ინოვაციის კონკურსის” პროექტი განხორციელდა აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის დაფინანსებით.

13



საქპატენტის თავმჯდომარე ნიკოლოზ გოგილიძემ ტექნოლოგიურ პარკში გამართა საჯარო ლექცია თემაზე: „იდეიდან ინტელექტუალურ საკუთრებამდე“. მან ახალგაზრდა ინოვატორებს და სხვა დაინტერესებულ პირებს მიაწოდა საბაზისო ინფორმაცია ინტელექტუალური საკუთრების სამართლის შესახებ, პრაქტიკულ მაგალითებზე დაყრდნობით მიმოიხილა იდეიდან ინტელექტუალურ საკუთრებამდე გასავლელი ეტაპები, განმარტა ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების თავისებურებანი და ისაუბრა მათი დაცვის მექანიზმებსა და საშუალებებზე.

18

საქპატენტში გაიმართა შეხვედრა საფრანგეთის რესპუბლიკის სენატორებთან. აღნიშნულ შეხვედრაზე განხილულ იქნა საქართველოსა და საფრანგეთს შორის თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივები გეოგრაფიული აღნიშვნების სისტემის განვითარების კუთხით, რაც ხელს შეუწყობს ევროპის ბაზარზე ქართული პროდუქციის საექსპორტო პოტენციალის გაზრდას. სენატორებმა გამოხატეს მხარდაჭერა საქპატენტის მიმართ და თანადგომა ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სფეროს განვითარების საქმეში.

19

საქპატენტის თავმჯდომარემ, თბილისის ოფისში, პატენტ-რწმუნებულებს წარუდგინა ანგარიში ერთწლიანი მუშაობის შესახებ, სადაც დაფიქსირდა წინსვლა საქპატენტის აქტიური და ქმედითი საქმიანობის შედეგად. კერძოდ, სასაქონლო ნიშნების ექსპერტიზის ხარისხის გაუმჯობესება და ამის საფუძველზე სასაქონლო ნიშნების განაცხადების რაოდენობის გაზრდა, სააპელაციო საჩივრების რიცხვის კლება და სააპელაციო პალატის მიერ დაკმაყოფილებული საჩივრების რაოდენობის მატება, ასევე, საერთაშორისო უწყებებთან თანამშრომლობით მიღწეული წარმატებები. თავმჯდომარემ მოისმინა პატენტრწმუნებულების შენიშვნები, რჩევები და რეკომენდაციები, რაც გათვალისწინებული და გაზიარებული იქნება საქპატენტის მუშაობის პროცესში.

მარტი

1

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციისა და საქპატენტის ორგანიზებით, საქპატენტის თბილისის ოფისში, ადვოკატებისა და პატენტრწმუნებულებისათვის გაიმართა მრგვალი მაგიდა, სადაც მათ გააცნეს საქპატენტის ახალი მიდგომები სასაქონლო ნიშნების ექსპერტიზის საკითხებთან დაკავშირებით. მრგვალი მაგიდა დისკუსიის ფორმატში წარიმართა. მხარეებმა დასახეს თანამშრომლობის სამომავლო გეგმები და პერსპექტივები.

2



საქპატენტის წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციისა და ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების ოფისის მიერ ორგანიზებულ სემინარში, სადაც განიხილებოდა ინტელექტუალური საკუთრების სფეროში პროცედურული და მტკიცებულებებთან დაკავშირებული საკითხები. სემინარზე მიღებული ცოდნა და გამოცდილება ქართველ ექსპერტებს დაეხმარა ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების ოფისის გამოცდილების საქპატენტში დანერგვის პროცესში. (ალიკანტე, ესპანეთი)

3

USAID-ის ადამიანური და ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარების პროექტის (HICD 2020) ფარგლებში დაიწყო საქპატენტის ინსტიტუციური შეფასების პროგრამა, რომლის მიზანია ორგანიზაციის მიზნებისა და ამოცანების დასახვა და სამუშაოს შესრულების არსებული ხარისხის ოპტიმალურ ხარისხთან შედარება ისევე, როგორც სამუშაოს შესრულებაში არსებული ხარვეზების დადგენა და მის გამოსასწორებლად კონკრეტული ღონისძიებების განხორციელება. საქმიანობის შეფასების პროგრამა ადამიანური და ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარების (HICD) კომპლექსური მოდელის ნაწილია, რომელიც მიზნად ისახავს, პარტნიორი ორგანიზაციების ინსტიტუციური რესურსების გაუმჯობესებას, რათა მათ უკეთ შეძლონ საკუთარი ფუნქციების, მანდატისა და, ასევე, აშშ-ის მთავრობისა და სხვა დონორი ორგანიზაციების ტექნიკური დახმარების პროგრამების ეფექტიანად განხორციელება.

7

ინტელექტუალური საკუთრების სამართლის დარგში მოქმედ შეთანხმებებთან დაკავშირებით ცოდნის გაღრმავების მიზნით, საქპატენტის წარმომადგენელმა WIPO-სა და WTO-ს მიერ ორგანიზებული კურსი გაიარა, რომელზეც დეტალურად გაეცნო ინტელექტუალური საკუთრების სამართლის დარგში მიმდინარე მნიშვნელოვან საკითხებსა, TRIPS შეთანხმების მიღების ისტორიასა და WIPO-სა და WTO-ს საქმიანობას. WIPO და WTO ის ორგანიზაციებია, სადაც ფართოდ შეიძლება იქნეს გამოყენებული სხვადასხვა მექანიზმი ქვეყნის ინტერესების დასაცავად. (ჟენევა, შვეიცარია).

12

ინტელექტუალური საკუთრების სისტემებისა და კანონმდებლობის შესახებ ინფორმაციის გაცვლის, ახალი საქმიანი ურთიერთობების დამყარებისა და ამერიკის შეერთებული შტატების ინტელექტუალური საკუთრების უწყებასთან თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავებისთვის შედგა საქპატენტის დელეგაციის ვიზიტი აშშ-ში. სასწავლო-საკონსულტაციო პროგრამის ორგანიზატორი იყო სავაჭრო სამართლის განვითარების პროგრამა (CLDP) და ამერიკის შეერთებული შტატების პატენტებისა და სასაქონლო ნიშნების უწყება (USPTO). (ალექსანდრია, ვირჯინიის შტატი, აშშ)

14

TMview

ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყებაში (EUIPO) საქპატენტის დელეგაციის ვიზიტი განხორციელდა, რომელიც მიზნად ისახავდა საქპატენტის სასაქონლო ნიშნების და დიზაინების მონაცემთა ბაზების EUIPO-ს ბაზებში (TMview, DSview) ინტეგრირების პროცესის მომდევნო ეტაპზე გადასვლას. აღნიშნულ ბაზებთან ინტეგრირება უცხოელ მომხმარებლებს საშუალებას მისცემს მიიღონ ინფორმაცია საქართველოში რეგისტრირებული ნიშნების შესახებ, ხოლო ქართული ენის დამატებით, ქართველ მომხმარებლებს ექნებათ საშუალება ძიება ჩაატარონ ქართული ინტერფეისის გამოყენებით. (ალიკანტე, ესპანეთი).

18

რუსეთის ფედერაციის ინტელექტუალური საკუთრების ფედერალურ სამსახურში დასრულდა სარეგისტრაციო პროცედურა ექვს ქართულ ადგილწარმოშობის დასახელებაზე. რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე „ხვანჭკარას“, „ტვიშის“, „ახაშენის“, „წინანდალის“, „მუკუზანისა“ და „ქინძმარაულის“ დასახელებაზე განსაკუთრებული უფლება ღვინის ეროვნულ სააგენტოს მიენიჭა, რაც ხელს შეუწყობს რუსეთის ფედერაციაში ქართული ღვინის ადგილწარმოშობის დასახელებების დაცვასა და მათი უკანონო გამოყენების წინააღმდეგ ბრძოლას.

22

საქართველოს ოფიციალური ვიზიტით ეწვია მოლდოვას ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული სააგენტოს (AGEPI) გენერალური დირექტორი ოქტავიან აპოსტოლი და მისი მოადგილე სვეტლანა მუნტენუ. საქპატენტში უწყებების ხელმძღვანელ პირებს შორის შედგა ორმხრივი შეხვედრა, რომელზეც მხარეებმა მიმოიხილეს ინტელექტუალური საკუთრების სისტემები და გამოწვევები საქართველოსა და მოლდოვაში, ისაუბრეს ერთობლივი თანამშრომლობის გეგმებზე და ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

23

საქპატენტის ოფისში გაიმართა ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა დაცვის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს მე-3 სხდომა, რომელზეც წევრებმა იმსჯელეს ინტერნეტის სივრცეში ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დარღვევების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებებსა და ინტელექტუალურ სფეროში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებთან დაკავშირებულ საკითხებზე. საბჭოს თავმჯდომარემ სხდომაზე დააყენა საკითხი კონტრაფაქციულ პროდუქციასთან ბრძოლის პროცესში პრიორიტეტების დადგენისა და განსაზღვრის მიზნით კვლევის ჩატარების აუცილებლობის თაობაზე და იმ ახალი საკანონმდებლო რეგულაციის შემუშავების საჭიროებაზე, რომელიც დაარეგულირებს ინტერნეტ სივრცეში ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვის საკითხებს.

აპრილი

7

საქპატენტის დელეგაციამ მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო კონფერენციაში „განვითარება და ინტელექტუალური საკუთრება“, რომელიც ემსახურებოდა ეროვნულ, რეგიონულ და საერთაშორისო დონეზე გამოცდილების გაზიარებას. კონფერენცია გაიმართა WIPO-ს ოფისში და მასში მონაწილეობას იღებდნენ სხვადასხვა ქვეყნის მთავრობის, საგანმანათლებლო ინსტიტუტების, ბიზნესის სექტორისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები, ასოციაციები და არასამთავრობო ორგანიზაციები. (ჟენევა, შვეიცარია).

8

WIPO-ს განვითარების და ინტელექტუალური საკუთრების კომიტეტის მე-17 სხდომის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა საქპატენტის წამომადგენელი. სხდომაზე, სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, განხილულ იქნა WIPO-ს განვითარების გეგმის შესრულება და ის პროექტები, რომლებიც უზრუნველყოფენ განვითარების გეგმის შესრულების ხელშეწყობას. (ჟენევა, შვეიცარია).

10

საქპატენტის წარმომადგენელმა გაიარა WIPO-ს და ისრაელის საპატენტო უწყების მიერ ორგანიზებული ფარმაცევტიკის სფეროში საპატენტო ექსპერტიზის სასწავლო კურსი. წამყვანი ქვეყნების გამოცდილების გაზიარება და მათი დანერგვა ხელს შეუწყობს საქპატენტის საქმიანობის დახვეწასა და განვითარებას.

11

USPTO-ს საერთაშორისო ურთიერთობების ოფისის წარმომადგენლებმა ქართველ კოლეგებს გააცნეს აშშ-ს გამოცდილება შეცდომაში შემყვანი, საყოველთაოდ ცნობილი, არატრადიციული, სამგანზომილებიანი და ხმოვანი ნიშნების ექსპერტიზასთან დაკავშირებით. ასევე, განიხილეს USPTO-ს სააპელაციო პალატის მუშაობის სპეციფიკა. სამუშაო შეხვედრა, რომელიც საქპატენტის ოფისში ოთხი დღის განმავლობაში გრძელდებოდა, განხორციელდა USPTO-ს და CLDP-ის მხარდაჭერით.

11

საქართველოში სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა USAID-ის ადმინისტრატორის მოადგილე ევროპისა და ევრაზიის საკითხებში ტომას მელია, რომელიც აღნიშნული ვიზიტის ფარგლებში შეხვდა საქპატენტის ხელმძღვანელობას. შეხვედრაზე განიხილეს აშშ-სა და საქართველოს საპატენტო უწყებებს შორის თანამშრომლობის ფარგლებში განხორციელებული პროექტების მიმდინარეობა. ასევე, საუბარი შეეხო საქპატენტის სამომავლო გეგმებსა და ამ გეგემების განხორციელებაში აშშ-ს მთავრობის მხარდაჭერას.

13

WIPO-სა და თურქეთის საპატენტო უწყების ორგანიზებით გაიმართა კონფერენცია, „ინტელექტუალური საკუთრება, გენეტიკური რესურსები და ტრადიციული ცოდნა“, რომელსაც დაესწრო საქპატენტის თავმჯდომარე ნიკოლოზ გოგილიძე. კონფერენციის ფარგლებში შეხვედრა გაიმართა თურქეთის საპატენტო უწყების პრეზიდენტთან ჰაბიპ ასანსთან და WIPO-ს გენერალურ დირექტორთან ფრენსის გარისთან. (ანკარა, თურქეთი)

14

ლიტვის საპატენტო უწყების დაარსების 25 წლისთავის აღსანიშნავად, ლიტვის საპატენტო უწყებისა და WIPO-ს ორგანიზებით გაიმართა კონფერენცია – „ინტელექტუალური საკუთრება და სპორტი“, რომელზეც ინტელექტუალური საკუთრებისა და სპორტის სფეროში მიმდინარე აქტუალურ საკითხებს შორის განიხილეს საქართველოს გამოცდილება 2016 წლის უეფა-ს სუპერთასის მატჩთან დაკავშირებით პარაზიტული მარკეტინგის საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარების შესახებ. (ვილნიუსი, ლიტვა)

22

საქპატენტმა უმასპინძლა „ნორჩ მეცნიერთა და გამომგონებელთა მე-10 საერთაშორისო ოლიმპიადის“ მონაწილეებს და გააცნო საქპატენტის მუშაობის სპეციფიკა და ინტელექტუალური საკუთრების სფეროში მიმდინარე პროცესები. მიღებული ინფორმაცია ოლიმპიადის მონაწილეებს დაეხმარება შემდგომი კვლევების ეფექტურად წარმართვასა და ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების შექმნაში. ოლიმპიადა „ჩაღლარის“ საგანმანათლებლო სასწავლებლების, განათლების სამინისტროსა და სხვა სახელმწიფო უწყებების ინიციატივით 2006 წლიდან ტარდება. ამ ხნის მანძილზე საქპატენტი ოლიმპიადის მუდმივი პარტნიორია.

24

საავტორო უფლებების შესახებ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებისა და ამ სფეროში ახალგაზრდების ჩართულობის გაზრდის მიზნით, გაიმართა წიგნისა და საავტორო უფლებების მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი კონფერენცია. ახალგაზრდები გაეცნენ ინტელექტუალური საკუთრების ზოგად საფუძვლებს და, ასევე, საავტორო და მომიჯნავე უფლებების საკანონმდებლო რეგულირების საკითხებს. (ყვარელი, საქართველო).

25

ავსტრიის საპატენტო უწყების მუშაობის გაცნობისა და საპატენტო და სასაქონლო ნიშნების განაცხადების ექსპერტიზის საკითხებში გამოცდილების გაზიარების მიზნით, საქართველოში განხორციელდა ავსტრიის საპატენტო უწყების დელეგაციის ოფიციალური ვიზიტი. საქპატენტის გამოგონებისა და სასაქონლო ნიშნების ექსპერტები გაეცნენ საპატენტო კლასიფიკაციის სისტემებს, ავსტრიის საპატენტო უწყების მიდგომას სტრუქტურირებული ძიების, Espacenet-ში ძიების, ძიების ანგარიშისა და გამოგონების ერთიანობის საკითხებზე საპატენტო ექსპერტიზის ხედვას პატენტუნარიანობის კრიტერიუმებთან მიმართებაში, ასევე, ავსტრიის საპატენტო უწყებაში სასაქონლო ნიშნების განაცხადებზე საქმისწარმოებას, ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შედარებით და აბსოლუტურ საფუძვლებს.

25

საქპატენტის წარმომადგენელი დაესწრო WIPO-ს სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის კანონის შესახებ მუდმივმოქმედი კომიტეტის 35-ე სხდომას, რომელზეც განიხილებოდა სხვადასხვა მნიშვნელოვანი საკითხი, მათ შორის, ქვეყნების სახელების სასაქონლო ნიშნად რეგისტრაციის შესახებ. (ჟენევა, შვეიცარია).

26

აღინიშნა ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო დღე სლოგანით – ციფრული შემოქმედება: ახლად დანახული ხელოვნება (Digital Creativity: Culture Reimagined), რაც მიზნად ისახავდა საზოგადოებისთვის იმის შეხსენებას, რომ მეკობრეობა და საავტორო უფლებების დარღვევა დასჯადი ქმედებაა.

27

ინტელექტუალური საკუთრებისა და საავტორო უფლებების არსისა და მნიშვნელობის გაცნობიერების მიზნით, USAID/G-Pried-თან თანამშრომლობით შემუშავდა IV-VI კლასებისათვის სპეციალური გაკვეთილის გეგმა. აღნიშნული გეგმის შესაბამისად 100-მდე საჯარო სკოლის დაწყებითი კლასების მოსწავლეებს ჩაუტარდათ სპეციალური გაკვეთილები, რომელშიც სასწავლო მასალად გამოყენებული იყო G-Pried-ისა და საქპატენტის თანამშრომლობით შექმნილი საკითხავი წიგნი – ზღაპარი საავტორო უფლებების შესახებ „დორემიუს სოლასი“ (ავტორი: ირმა მალაციძე), ასევე, მოსწავლეებისთვის განკუთვნილ გაზეთში „კითხვის დრო“ გამოქვეყნებული სტატია გამოგონებების შესახებ – „უცნაური პატენტები“.

მაისი

2

საქპატენტის წარმომადგენლები დაესწრნენ ყოველწლიურ კონფერენციას „PATLIB 2016“, რომლის მიზანია წამყვანი ქვეყნების საპატენტო ინფორმაციის ცენტრების გამოცდილების გაზიარება. კონფერენციის ფარგლებში ჩატარდა სასწავლო სემინარი პოსტერების ახალი საძიებო ბაზების მუშაობის შესახებ. (ჰელსინკი, ფინეთი)

3

ინოვაციური პოლიტიკის და მის იმპლემენტაციასთან დაკავშირებული ინსტიტუციების საქმიანობის, ასევე, ენტერპრაის ესტონეთის (Enterprise Estonia) საქმიანობის გაცნობის მიზნით, რომელიც მრავალმხრივ დახმარებას უწევს ესტონეთის სამრეწველო და კვლევით ორგანიზაციებს მათი საექსპორტო და დამატებული ღირებულების შექმნის პოტენციალის განსავითარებლად, განხორციელდა საქპატენტის დელეგაციის ვიზიტი ესტონეთში. (ესტონეთი)

4

საქპატენტის წარმომადგენელი დაესწრო EUIPO-ს მიერ ორგანიზებულ კონფერენციას, რომელზეც განიხილებოდა ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ადმინისტრაციული და სასამართლო პრაქტიკა (IPCLC), რაც ხელს შეუწყობს ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის მიმართულებით მუშაობას და საქპატენტის მიერ დაგეგმილ შედარებით-სამართლებრივი კვლევებისა და გამოცემების მომზადებას. (ალიკანტე, ესპანეთი)

7

საქპატენტის ხელმძღვანელობამ მონაწილეობა მიიღო საქართველოსა და ჩინეთს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების მოლაპარაკებების მე-2 რაუნდში. (პეკინი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა)

11

საქპატენტის ხელმძღვანელობამ შეხვედრა გამართა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მრეწველობისა და ვაჭრობის სახელმწიფო ადმინისტრაციის მინისტრის მოადგილე ლიუ ჯუნშენთან, რომელზეც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ჩინეთის სასაქონლო ნიშნების უწყებასა და საქპატენტს შორის თანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმების შესახებ.

11



ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მრეწველობისა და ვაჭრობის სახელმწიფო ადმინისტრაციის (SAIC) სასაქონლო ნიშნების უწყებამ წინასწარი გადაწყვეტილება გამოიტანა გეოგრაფიულ აღნიშვნაზე „ჭაჭა“ და მასზე უფლება ჩინეთის ტერიტორიაზე საქართველოს დაუბრუნდა.

15

მემორანდუმის ფარგლებში გათვალისწინებული მონაცემთა ბაზების ინტეგრაციის პროექტის მეორე ეტაპის შესასრულებლად EUIPO-ში განხორციელდა საქპატენტის წარმომადგენლების ვიზიტი.

18

საქპატენტში გაიმართა შეხვედრა აშშ-ს მთავრობის დელეგაციასთან, რომელსაც ხელმძღვანელობდა აშშ-ს სავაჭრო დეპარტამენტის გენერალური სამდივნოს ადმინისტრაციის სავაჭრო სამართლის განვითარების პროგრამის (CLDP) მთავარი მრჩეველი სტივ გარდნერი. შეხვედრაზე განხილულ იქნა CLDP-ის დაფინანსებით მიმდინარე პროექტები, რომელიც მიზნად ისახავს სხვადასხვა მიზნობრივი აუდიტორიის ცნობიერების ამაღლებას ინტელექტუალური საკუთრების სფეროში, კერძოდ, ყოველწლიური ტრენინგები მოსამართლეების, ჟურნალისტებისა და ადვოკატებისთვის.

21

საქპატენტმა მიიღო მონაწილეობა სასაქონლო ნიშნების საერთაშორისო ასოციაციის (INTA) ყოველწლიურ შეხვედრაში, სადაც საქპატენტის სტენდზე ღონისძიების 10 000 მეტ მონაწილეს მსოფლიოს ცნობილი ბრენდის მფლობელი კომპანიებიდან, იურიდიული ფირმებიდან და ინტელექტუალური საკუთრების უწყებებიდან შესაძლებლობა ჰქონდათ გაცნობოდნენ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების სისტემას და კონსულტაცია მიეღოთ მათთვის საინტერესო საკითხებზე. INTA-ს შეხვედრა წარმოადგენს ყველაზე მნიშვნელოვან ღონისძიებას მსოფლიოში სასაქონლო ნიშნებთან მიმართებაში. (ორლანდო, ფლორიდა აშშ)

30

საქპატენტში გაიმართა შეხვედრა პატენტრწმუნებულებსა და ადვოკატთა ასოციაციის წარმომადგენლებთან, სადაც განიხილეს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებების პროექტი. კანონპროექტის მიზანია მოქმედი კანონის ჰარმონიზება ევროპულ კანონმდებლობასთან, კანონში არსებული ხარვეზებისა და მარეგულირებელი ნორმების დახვეწა.

ივნისი

2

გაიმართა რეგიონული სემინარი თემაზე „ინტელექტუალური საკუთრების პოლიტიკა უნივერსიტეტებში“, რომელზეც განიხილეს საქართველოს უნივერსიტეტებში ინტელექტუალური საკუთრების პოლიტიკის არსებული მდგომარეობა, გაეცნენ ისრაელის გამოცდილებას ინტელექტუალური საკუთრების პოლიტიკის გამოყენებაზე საგანმანათლებლო და კვლევით დაწესებულებებში და WIPO-ს რეკომენდაციებს.

2

საქართველოს ოფიციალური ვიზიტით ეწვია თურქეთის საპატენტო უწყების (TPI) პრეზიდენტი ჰაბიპ ასანი. საქპატენტის ოფისში ხელი მოეწერა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს TPI-ს და საქპატენტს შორის, რომელიც ითვალისწინებს თანამშრომლობას სამრეწველო საკუთრების დაცვის სფეროში.

8

საქპატენტმა მონაწილეობა მიიღო ყაზახეთში, ქ. ასტანაში გამართულ საქართველო-ყაზახეთის სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის მთავრობათაშორისი კომისიის მე-8 სხდომაში. შეხვედრაზე მოლაპარაკების ერთ-ერთ საგანს წარმოადგენდა საქართველოსა და ყაზახეთის რესპუბლიკას შორის გეოგრაფიული აღნიშვნების ურთიერთაღიარებისა და დაცვის შესახებ შეთანხმების პროექტის ხელმოწერასთან დაკავშირებით მოლაპარაკებების გაგრძელებისა და ინტელექტუალური საკუთრების სფეროში თანამშრომლობის გაღრმავების საკითხები.

9

გაიმართა WIPO-ს ადგილწარმოშობის დასახელებების დაცვის ლისაბონის შეთანხმებისა და ლისაბონის შეთანხმების ჟენევის აქტის საერთო რეგულაციების მოსამზადებელი სამუშაო ჯგუფის შეხვედრა, რომელზეც ჯგუფის ხელმძღვანელად საქპატენტის თავმჯდომარე ნიკოლოზ გოგილიძე აირჩიეს. შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს ლისაბონის შეთანხმებისა და ლისაბონის შეთანხმების ჟენევის აქტის საერთო რეგულაციების პროექტი, ასევე, იმსჯელეს ლისაბონის კავშირის დაფინანსების მოკლე და გრძელვადიან პერსპექტივებზე. (ჟენევა, შვეიცარია).

10

საქპატენტმა მონაწილეობა მიიღო სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის დასაქმებისა და სტაჟირების ფორუმში, სადაც დაინტერესებულ პირებს საქპატენტის წარმომადგენლებმა მიაწოდეს ინფორმაცია ორგანიზაციის საქმიანობისა და მისი პოლიტიკის შესახებ.

10

საქპატენტმა მონაწილეობა მიიღო საქართველო-ყაზახეთის სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის მთავრობათაშორისი კომისიის მე-8 სხდომის მუშაობაში, რომელზეც მოლაპარაკების საგანს წარმოადგენდა ორ ქვეყანას შორის გეოგრაფიული აღნიშვნების ურთიერთაღიარებისა და დაცვის შესახებ შეთანხმების პროექტზე ხელმოწერასთან დაკავშირებით მოლაპარაკებების გაგრძელებისა და ინტელექტუალური საკუთრების სფეროში თანამშრომლობის გაღრმავების საკითხები. (ასტანა, ყაზახეთი)

13

კვალიფიკაციის ამაღლებისა და საპატენტო სფეროში სიახლეების გაცნობის მიზნით, საქპატენტის წარმომადგენელი დაესწრო ავსტრიის საპატენტო უწყებისა და WIPO-ს მიერ ორგანიზებულ ტრენინგს „Patent Documentation and Information“, რომელზეც განხილულ იქნა ტექნოლოგიების და ინოვაციების ხელშემწყობი ცენტრების კონცეფცია და წარმატებული მაგალითები. (ვენა, ავსტრია)

20 საპატენტო და სასაქონლო ნიშნების სისტემის და ექსპერტიზის პრაქტიკის შესახებ, საერთაშორისო უწყებებთან და ორგანიზაციებთან თანამშრომლობის, ინოვაციების და ცოდნის გადაცემის სფეროში გამოცდილების გაზიარების მიზნით, საქპატენტის წარმომადგენლებმა განახორციელეს ვიზიტი ბულგარეთის რესპუბლიკის საპატენტო უწყებაში. (სოფია, ბულგარეთი)

27

საქპატენტის ხელმძღვანელობამ შეხვედრა გამართა დანიის პატენტების და სასაქონლო ნიშნების უწყების დელეგაციასთან, რომელიც საქართველოში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა. შეხვედრაზე განიხილეს უწყებებში მიმდინარე მოვლენები და თანამშრომლობის პერსპექტივები.

ივლისი

3

WIPO WORLD INTELLECTUAL PROPERTY ORGANIZATION

გაიმართა WIPO-ს ადგილწარმოშობის დასახელებების დაცვის ლისაბონის შეთანხმებისა და ლისაბონის შეთანხმების ჟენევის აქტის საერთო რეგულაციების მოსამზადებელი სამუშაო ჯგუფის შეხვედრა, რომელზეც გაგრძელდა ლისაბონის შეთანხმებისა და ლისაბონის შეთანხმების ჟენევის აქტის საერთო რეგულაციების პროექტის განხილვა (ჟენევა, შვეიცარია).

6

EUIPO-სა და საქპატენტის თანამშრომლობის განვითარების პერსპექტივებზე იმსჯელეს EUIPO-ს აღმასრულებელმა დირექტორმა და საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა, საქართველოში EUIPO-ს აღმასრულებელი დირექტორის ანტონიო კამპინოსის ოფიციალური ვიზიტის დროს.

6 საქპატენტის წარმომადგენელი დაესწრო სემინარს ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის მადრიდის სისტემის შესახებ, რომელზეც განხილულ იქნა მადრიდის სისტემაში დანერგილი სიახლეები და სხვა ქვეყნების გამოცდილებები. (ჟენევა, შვეიცარია)

7

EUIPO EUROPEAN UNION INTELLECTUAL PROPERTY OFFICE

განხორციელდა EUIPO-ს მონაცემთა ბაზებში TM View და DS View-ში საქპატენტის სასაქონლო ნიშნების და დიზაინების მონაცემთა ბაზების ინტეგრაცია, რაც უცხოელ მომხმარებლებს საშუალებას აძლევს საქართველოში რეგისტრირებული ნიშნების შესახებ მიიღონ ინფორმაცია ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყების ვებგვერდიდან.

10

CLDP-ს და USPTO-ს დახმარებით ჩატარდა სამუშაო შეხვედრა, სადაც განიხილებოდა აშშ-ს კანონმდებლობა, მიდგომები და პრაქტიკული მაგალითები „ინტერნეტ სერვის პროვაიდერების პასუხისმგებლობის შესახებ“. სამუშაო შეხვედრას ესწრებოდნენ საჯარო და კერძო სექტორის წარმომადგენლები.

11

საქპატენტის წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო ევროკავშირის საპატენტო უწყებისა (EPO) და ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყების (EUIPO) მიერ ორგანიზებულ კონფერენციაში “IP Executive Week”. ღონისძიებაზე განხილულ იქნა EPO-ს, EUIPO-ს, ასევე, ევროკავშირისა და EPO-ს წევრი ქვეყნების ინტელექტუალური საკუთრების უწყებების უკანასკნელი მიღწევები და სიახლეები, რაც ემსახურება ქვეყნებს შორის გამოცდილების გაზიარებისა და მოსაზრებების გაცვლას. (მიუნხენი, გერმანია)

14

CLDP-ს და USPTO-ს დახმარებით ჩატარდა სამუშაო შეხვედრა ქართველი მოსამართლეების მონაწილეობით, რომელზეც ამერიკელმა მოსამართლეებმა ქართველ კოლეგებს გააცნეს ამერიკის სასამართლო პრაქტიკა ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებთან დაკავშირებულ დავებზე, ასევე, იმსჯელეს საქპატენტის სააპელაციო პალატის და საქართველოს სასამართლოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე და მოისმინეს ამერიკელი მოსამართლეების პოზიცია აღნიშნულ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით. (ქობულეთი, საქართველო)

19

საქპატენტის თავმჯდომარემ ნიკოლოზ გოგილიძემ მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო კონფერენციაში „IP for Countries along the Belt and Road“, რომლის ფარგლებში შეხვედრები გამართა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საპატენტო, სასაქონლო ნიშნების და საავტორო უფლებების უწყებების ხელმძღვანელებთან, ასევე, ვაჭრობის სამინისტროსა და პეკინის მუნიციპალური მთავრობის წარმომადგენლებთან. (პეკინი, ჩინეთი)

25

საქპატენტში გაიხსნა ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაციის (ELSA) საზაფხულო სკოლა, რომლის მიზანი იყო სტუდენტთა სამართლებრივი ცნობიერების ამაღლება ინტელექტუალური საკუთრების დარგში. 15 ევროპული ქვეყნის 35 სტუდენტს ერთი კვირის განმავლობაში ჩაუტარდათ ლექციები ინტელექტუალური საკუთრების სხვადასხვა ობიექტებზე.

26

TAIEX-ის პროგრამის ფარგლებში, გაიმართა ერთ-დღიანი სამუშაო შეხვედრა „ინტერნეტ სერვის პრო-ვაიდერების პასუხისმგებლობის შესახებ“, რომელშიც მონაწილეობდნენ საჯარო სამსახურებისა და კერძო სექტორის წარმომადგენლები. ისინი გაეცნენ ევროკავშირის კანონმდებლობას, მიდგომებსა და გამოცდილებას „ინტერნეტ სერვის პროვაიდერების პასუხისმგებლობის შესახებ“.

აგვისტო

1

ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია „საქართველო კონტრაფაქციის წინააღმდეგ DCFTA-ს კონტექსტში“, რომლის ფარგლებშიც მოხდა ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სფეროში არსებული ევროპული და საერთაშორისო სტანდარტებისა და გამოცდილების გაზიარება. კონფერენციაზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენელთა აქტიურობის გაზრდას ინტელექტუალური საკუთრების უფლებების აღსრულების მიმართულებით.

23

გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი საქპატენტსა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს შორის. აღნიშნული მემორანდუმი ითვალისწინებს ინტელექტუალური საკუთრების სამართლის პოპულარიზაციას და ინტელექტუალური საკუთრების უფლებების აღსრულებასთან დაკავშირებული საქმიანობის განვითარებას.

სექტემბერი

5

გაიმართა WIPO-ს აღსრულების საკითხებში მრჩეველთა საბჭოს კომიტეტის მე-11 სესია, რომელზეც საქპატენტის თავმჯდომარემ გააკეთა მოხსენება საქართველოს გამოცდილებაზე ინტელექტუალური საკუთრების უფლებების აღსრულებასთან და ამ მიმართულებით უწყებათაშორის კოორდინაციასთან დაკავშირებით. (ჟენევა, შვეიცარია)

8

საქპატენტის დელეგაციამ მონაწილეობა მიიღო საქართველოსა და ჩინეთს შორის გამართულ თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ მოლაპარაკებების ბოლო რაუნდში, რომლის დროსაც შედგა შეთანხმება ყველა საკითხზე, მათ შორის, ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ პრობლემურ თემებზე, რამაც შესაძლებელი გახადა მოლაპარაკებების დასრულება უპრეცედენტოდ მოკლე ვადაში (7 თვეში). (პეკინი, ჩინეთი)

12

საქპატენტის თავმჯდომარის მოადგილემ სოფიო მუჯირმა მონაწილეობა მიიღო ჰონ-კონგ-ჩინეთსა და საქართველოს შორის გამართულ თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ მოლაპარაკებების პირველ რაუნდში, სადაც შეთანხმება მოხდა ინტელექტუალური საკუთრების მარეგულირებელი თავის ძირითად ნაწილზე. (ჰონგ-კონგი, ჩინეთი)

13

ერთობლივი პროექტის მიმდინარეობის გასაცნობად და სამომავლო თანამშრომლობის გეგმების დასახვის მიზნით, საქპატენტს ოფიციალური ვიზიტით ეწვია WIPO-ს ინტელექტუალური საკუთრების აკადემიის აღმასრულებელი დირექტორი შერიფ საადალა. ერთობლივი პროექტი მოიცავს გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის შესახებ საქართველოში პროფესიული რეგიონული კურსის შემუშავებას, სასკოლო ასაკის მოსწავლეების ინტელექტუალური საკუთრების სფეროში განათლების პროექტებში ჩართვას, მოსამართლეებისათვის შემუშავებულ საგანმანათლებლო პროგრამებში საქართველოს მონაწილეობასა და, ასევე, WIPO-ს აკადემიის კურსების ქართულ ენაზე თარგმნასა და ადაპტირებას.

15

გაიმართა რეგიონული კონფერენცია თემაზე: „ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული სტრატეგია“, რომელზეც განხილულ იქნა WIPO-ს მხარდაჭერით შემუშავებული საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული სტრატეგიის პროექტი. კონფერენციაზე, ასევე, იმსჯელეს შემუშავებული სტრატეგიის ეფექტიანი განხორციელების მნიშვნელობაზე ქვეყნის განვითარებაში.

18

საქპატენტის თავმჯდომარე ნიკოლოზ გოგილიძე სამუშაო ვიზიტით ეწვია ესტონეთის რესპუბლიკას. ვიზიტის ფარგლებში განიხილეს ესტონეთის ბაზარზე ქართული ღვინის კონტრაფაქციასა და იმიტაციისგან დაცვის საკითხები. (ტალინი, ესტონეთი)

21

საქპატენტის წარმომადგენელი დაესწრო კონფერენციას, რომელზეც განიხილებოდა თანამედროვე კვლევები და მათი გამოყენების პერსპექტივები ქიმიაში, ქიმიურ ტექნოლოგიასა და მომიჯნავე დარგებში. კონფერენციაზე დამსწრეთ საშუალება მიეცათ გაცნობოდნენ საქართველოსა და საზღვარგარეთის მრავალი ქვეყნის კვლევითი ინსტიტუტების მუშაობის შედეგებს. (ურეკი, საქართველო)

26

საქპატენტს სამუშაო ვიზიტით ეწვია ავსტრიის საპატენტო ოფისის (APO) დელეგაცია პრეზიდენტის მარიანა კარეპოვას ხელმძღვანელობით. აღნიშნული ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა საქპატენტისა და APO-ს შორის სამოქმედო გეგმის შემუშავება, რომელშიც აისახა ერთობლივი ღონისძიებების ნუსხა. კერძოდ, დაიგეგმა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით საქპატენტის ექსპერტებისთვის ტრენინგები ავსტრიაში, ასევე, კონსულტაციები საინოვაციო საქმიანობის განვითარებასთან და საპატენტო ვაუჩერების პროგრამასთან დაკავშირებით.

28

საქპატენტს კიდევ ერთხელ გადაეცა IDFI-ის სიგელი და დასახელდა 55 სახელმწიფო უწყებას შორის, როგორც საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის 100%-იანი მაჩვენებლის მქონე. საქართველოში ყველაზე ღია და ყველაზე დახურული საჯარო დაწესებულების დაჯილდოების ცერემონიალი ინფორმაციაზე უნივერსალური ხელმისაწვდომობის საერთაშორისო დღეს გაიმართა.

28

გაიმართა კონფერენცია „ქალის როლი ქვეყნის განვითარებაში“, რომელზეც ასამდე მეწარმე ქალი გაეცნო მათ მხარდამჭერ პროგრამებსა და ფინანსური და ტექნიკური დახმარების მიღების ახალ შესაძლებლობებს. აღნიშნულ კონფერენციაზე საქპატენტის თავმჯდომარის მოადგილე სოფიო მუჯირი ღონისძიების მონაწილეებს ესაუბრა ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვის ინსტრუმენტებზე.

29

საქპატენტმა უმასპინძლა უკრაინის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის კიევის სამართლის უნივერსიტეტის რექტორს პროფესორ იური ბოშიტსკის. შეხვედრაზე საქპატენტის თავმჯდომარე ნიკოლოზ გოგილიძემ და პროფესორმა ბოშიტსკიმ იმსჯელეს უკრაინასა და საქართველოში ინტელექტუალური საკუთრების სფეროში არსებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე და ხაზი გაუსვეს, ამ კუთხით, ურთიერთთანამშრომლობის მნიშვნელობას.

ოქტომბერი

3

ხელი მოეწერა 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმას საქპატენტსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ინტელექტუალური საკუთრების სახელმწიფო უწყებას (SIPO) შორის. სამოქმედო გეგმაში აისახა საქპატენტისა და SIPO თანამშრომლობის 2 წლის საქმიანობა. (ჟენევა, შვეიცარია)

4

საქპატენტის ხელმძღვანელობამ მონაწილეობა მიიღო WIPO-ს 56-ე ასამბლეის მუშაობაში, რომლის ფარგლებში თანამშრომლობის სხვადასხვა საკითხებზე გაიმართა ორმხრივი შეხვედრები ჩინეთის, ისრაელის, თურქეთის, უნგრეთის, სერბეთის, შვეიცარიისა და ირანის ინტელექტუალური საკუთრების უწყებების ხელმძღვანელ პირებთან. საქპატენტის ხელმძღვანელობა, ასევე, შეხვდა WIPO-ს გენერალურ დირექტორს ფრენსის გარის, გენერალური დირექტორის მოადგილეს ბინინ ვანგს, აკადემიის რექტორს შერიფ საადალას, ადამიანური რესურსების მართვის დირექტორს კორნელია მუსას, უფროს ეკონომისტს კარსტენ ფინკსა და სხვა პირებს. (ჟენევა, შვეიცარია)

6

საქპატენტსა და თურქეთის საპატენტო უწყებას შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე, ხელი მოეწერა 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმას. (ჟენევა, შვეიცარია)

18

საქპატენტის წარმომადგენელი დაესწრო სამუშაო შეხვედრას თემაზე „ინტელექტუალური საკუთრება მცირე და საშუალო საწარმოებისთვის და ინტელექტუალური საკუთრებისადმი პატივისცემის ზრდა“, რომელზეც, WIPO-ს ექსპერტებთან ერთად, ევროპის და აზიის სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებმა იმსჯელეს მცირე და საშუალო საწარმოების საქმიანობაში ინტელექტუალური საკუთრების გამოყენების შესახებ და მათ ქვეყნებში ინტელექტუალური საკუთრებისადმი პატივისცემის ზრდისათვის განხორციელებული ღონისძიებების შესახებ. (კიევი, უკრაინა)

25

საქპატენტის სასწავლო ცენტრში გაიმართა ტრენინგი ევროკავშირის მიერ დაფინანსებული საჯარო სამსახურების დამეგობრების (TWINNING) პროექტის „ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის შესაძლებლობების გაძლიერება“ ფარგლებში, რომელზეც ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დანაშაულების გამოძიების ფინურ მოდელსა და შესაბამის მტკიცებულებათა მოპოვების გზებს გაეცნენ ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის, საქართველოს მთავარი პროკურატურის, შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის, საქპატენტისა და კერძო სექტორის წარმომადგენლები. საქპატენტის თავმჯდომარემ კი მონაწილეებს გააცნო ინტელექტუალური საკუთრების დაცვის და აღსრულების მექანიზმები ქართული კანონმდებლობის თანახმად.

26

საქპატენტის წარმომადგენელი დაესწრო WIPO-ს მიერ ორგანიზებულ სემინარს, რომელიც მიზნად ისახავდა მონაწილე რეგიონის ქვეყნების და ევრაზიის რეგიონული საპატენტო უწყების საპატენტო უფლებების განხორციელების საკითხში თანამედროვე ხედვებისა და მიდგომების გაცნობას, შედეგად კი საპატენტო კანონმდებლობაში მათ ასახვას.(ბაქო, აზერბაიჯანი)

27

გაიმართა კონფერენცია „ბრენდინგის სტრატეგიები“, რომლის მიზანი იყო ქართველი მეწარმეებისა და ფერმერებისათვის გაეცნოთ გეოგრაფიული აღნიშვნით დაცული პროდუქციის უპირატესობები როგორც საქართველოს, ისე მსოფლიოს ბაზრებზე.

27

გაიმართა პოტენციური გეოგრაფიული აღნიშვნების გამოფენა-დეგუსტაცია, რომელზეც წარმოდგენილი იყო 130-მდე პოტენციური გეოგრაფიული აღნიშვნის მქონე პროდუქტი, მათ შორის: ტყემალი, კოლხური თხილი, რაჭული ლორი, ხარაგაულის ნიყვი, ჭოპორტის პომიდორი, ლაგოდეხის საზამთრო, კოლხური დაფნა, ხელვაჩაურის მანდარინი, ტაბაწყურის სტაფილო, მარნეულის საადრეო კარტოფილი და სხვა.

28

საქპატენტის წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო გეოგრაფიული აღნიშვნების შესახებ ანტალიის მე-4 საერთაშორისო კონფერენციაში „გეოგრაფიული აღნიშვნები თურქეთში და ხმელთაშუა ზღვის სხვა ქვეყნებში განვითარების ტენდენციები, გამოწვევები და მოლოდინები“, რომელზეც განიხილებოდა ორმხრივი შეთანხმებები ევროკავშირთან და სხვა ქვეყნებთან გეოგრაფიულ აღნიშვნებზე. საქპატენტის წარმომადგენელი წარსდგა მოხსენებით, რომელშიც ვრცლად მიმოიხილა საქართველოს გამოცდილება ევროკავშირთან და სხვა ქვეყნებთან გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის შესახებ შეთანხმების ხელმოწერის მნიშვნელობა.

28

ხელი მოეწერა საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია „OriGIn“-ს და საქპატენტისა და ღვინის ეროვნული სააგენტოს მიერ დაფუძნებულ ა(ა)იპ „OriGIn – საქართველოს“ შორის სალიცენზიო შეთანხმებას, რომელიც ითვალისწინებს ფერმერებისა და მეწარმეების დახმარებას როგორც ბრენდინგის, მარკეტინგისა და მენეჯმენტის საკითხებში, ისე საერთაშორისო კონტაქტების მოძიებაში.

ნოემბერი

7

საქპატენტის წარმომადგენელი დაესწრო სლოვაკეთის საპატენტო უწყების 25 წლისთავისადმი მიძღვნილ კონფერენციას, რომელიც ჩატარდა ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების ოფისისა და ევროკავშირის საპატენტო უწყების მხარდაჭერით. (სლოვაკეთი)

8

TAIEX-ის პროგრამის ფარგლებში, შედგა საქპატენტის დელეგაციის ვიზიტი იტალიაში, ცენტრალურ, რეგიონულ და მწარმოებლის დონეზე გეოგრაფიული აღნიშვნების, კერძოდ, კარტოფილისა და თხილის კონტროლის მექანიზმების გასაცნობად. (ბოლონია და ალბა, იტალია)

10

ბრიუსელში გაიმართა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული გეოგრაფიული აღნიშვნების ქვეკომიტეტის მე-2 შეხვედრა, რომელზეც ხელი მოეწერა გეოგრაფიული აღნიშვნების ქვეკომიტეტის N1/2016 გადაწყვეტილებას, ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებასა და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების XVII-C დანართსა და XVII-D დანართის B ნაწილში ცვლილებების შეტანის შესახებ. (ბრიუსელი, ბელგია)

12

საქპატენტის წარმომადგენელი დაესწრო UPOV-ის ტექნიკური კომიტეტის ხეხილოვანი კულტურების სამუშაო ჯგუფის 47-ე სესიასა და კომიტეტის სხდომის მოსამზადებელ სამუშაო სემინარს, რომელზეც განიხილებოდა TGP-ს დოკუმენტების მომზადება, ასევე, ძირითად კრიტერიუმებზე გამოცდის ჩატარების მარტივი და იაფი გზები სელექციონერისთვის. (ანჟე, საფრანგეთი)

13

მადრიდის საერთაშორისო სისტემის 125 წლისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე საქპატენტის თავმჯდომარე ნიკოლოზ გოგილიძე წარსდგა მოხსენებით: „მადრიდის სისტემის გამოყენება – ქვეყნის ხედვა“. (ჩინდაო, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა)

16

WIPO-ში განხორციელდა საქპატენტის წარმომადგენლების სამუშაო ვიზიტი ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ WIPO-ს გამოცდილების გაზიარების და საქპატენტში საქმისწარმოების პროცესში არსებული პრობლემების გარკვევისა და დაზუსტების მიზნით. (ჟენევა, შვეიცარია)

21

საქართველოს დელეგაცია ეწვია ბალტიისპირეთის ქვეყნებს. ვიზიტი მიზნად ისახავდა ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის გამოცდილების გაცნობას ევროპის საპატენტო უწყებასთან ევროპული პატენტების ვალიდაციის შესახებ ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებით.

24

საქპატენტის წარმომადგენელი დაესწრო სემინარს ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის მადრიდის სისტემის შესახებ, რომელზეც განიხილებოდა ელექტრონული სისტემების განვითარების მიმდინარე საკითხები, ასევე, წევრი ქვეყნების როლი საერთაშორისო განაცხადის რეგისტრაციის პროცესში. (ჟენევა, შვეიცარია)

დეკემბერი

1

საქპატენტის ხელმძღვანელობამ მონაწილეობა მიიღო საქართველო-ევროკავშირის ვაჭრობის საკითხებზე ასოცირების კომიტეტის მესამე შეხვედრაში, რომელზეც განიხილებოდა საქართველოს პროგრესი DCFTA-ის განხორციელების კუთხით. შესაბამისმა უწყებებმა ევროკავშირის წარმომადგენლებს მიაწოდეს ინფორმაცია თითოეულ სფეროში DCFTA-ით აღებული ვალდებულებების შესაბამისად განხორციელებული და მიმდინარე რეფორმების შესახებ, რაც დადებითად იქნა შეფასებული ევროკავშირის მხარის მიერ. (ბრიუსელი, ბელგია)

5

საქპატენტის თავმჯდომარის მოადგილემ მონაწილეობა მიიღო WIPO-ს, კორეის კულტურის, სპორტისა და ტურიზმის სამინისტროსა (MCST) და კორეის საავტორო უფლებათა კომისიის (KCC) მიერ ორგანიზებულ რეგიონულ სამუშაო შეხვედრაში „Interregional Workshop on Copyright Enforcement“, სადაც ღონისძიების მონაწილეებს გააცნო საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული საავტორო უფლებების დაცვის და აღსრულების მექანიზმები. (სეული, კორეა)

13

საქპატენტს სამუშაო ვიზიტით ეწვია WIPO-ს დელეგაცია ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის დირექტორის კორნელია მუსას ხელმძღვანელობით. ვიზიტი მიზნად ისახავდა WIPO-ში ქართველი სპეციალისტების დასაქმების შესაძლებლობასა და, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, სამოქმედო გეგმის შემუშავებას.

14

საქპატენტის წარმომადგენლები დაესწრნენ სემინარს, რომელზეც განიხილებოდა ინტელექტუალური საკუთრების სტრატეგია და პოლიტიკა, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, ევროპისა და აზიის სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილებაზე დაყრდნობით. (პეკინი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა).

19

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების სასწავლო ცენტრის ტრენერებისთვის ჩატარდა ტრენინგის მეორე ეტაპი – „სწავლების საბაზისო მეთოდოლოგიები“, რომელიც ეხებოდა ინტელექტუალური საკუთრების სფეროში სალექციო კურსის პროგრამის ტექნიკურად და მეთოდოლოგიურად მომზადების სწავლებას, სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანასა და, ასევე, აუდიტორიის გათვალისწინებით, ცოდნის ხარისხის განმსაზღვრელი სავარჯიშოებისა და სასწავლო მასალების შემუშავებას.

საერთაშორისო ურთიერთობები/ 2016

თანამშრომლობა ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციასთან (WIPO)

2016 წელი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო WIPO-სთან თანამშრომლობის კუთხით. უნდა აღინიშნოს WIPO-ს მაღალი თანამდებობის პირების ვიზიტები საქართველოში, რაც ხაზს უსვამს უწყებასთან ნაყოფიერ თანამშრომლობასა და მხარდაჭერას ერთობლივი პროექტების განხორციელების პროცესში. 2016 წელს WIPO-სთან თანამშრომლობით განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- საქართველოში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა WIPO-ს გენერალური დირექტორის მოადგილე ბინინგ ვანგი, რომელმაც გახსნა კონფერენცია „ბრენდინგის სტრატეგიები“. ვიზიტის ფარგლებში ქალბატონმა ვანგმა გამართა შეხვედრა საქართველოს ვიცე პრემიერთან, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრთან დიმიტრი ქუმსიშვილთან. შეხვედრაზე WIPO-ს წარმომადგენელმა დადებითად შეაფასა საქართველოს მიერ გაწეული საქმიანობა გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის კუთხით, და გამოთქვა შემდგომი მხარდაჭერის მზადყოფნა აღნიშნული მიმართულების განვითარებაში. შეხვედრა გაიმართა, ასევე, სოფლის მეურნეობის მინისტრ ლევან დავითაშვილთან, სადაც ხაზგასმით აღინიშნა, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტი და პრიორიტეტული მიმართულება გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვაა. ბინინგ ვანგმა გამოხატა WIPO-ს მზაობა საქართველოში პრიორიტეტული პროექტების ერთობლივად განხორციელებისთვის, რაც გაზრდის საზოგადოების ცნობიერებას ინტელექტუალური საკუთრების დაცვის შესახებ და ხელს შეუწყობს საქართველოში ამ სისტემის განვითარებას. შეხვედრაზე ქალბატონმა ვანმგა აღნიშნა, რომ WIPO-ში ადგილწარმოშობის დასახელებების დაცვის ლისაბონის შეთანხმებისა და ლისაბონის შეთანხმების ჟენევის აქტის საერთო რეგულაციების მოსამზადებელი სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარედ საქპატენტის თავმჯდომარის ნიკოლოზ გოგილიძის არჩევამ წარმოაჩინა საქართველოს განსაკუთრებული როლი და მნიშვნელობა გეოგრაფიული აღნიშვნების საერთაშორისო სისტემის განვითარების ხელშეწყობაში.
- WIPO-ში დასაქმების პროცედურების გაცნობის მიზნით, საქართველოს ოფიციალური ვიზიტით ეწვია WIPO-ს დელეგაცია ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის დირექტორის კორნელია მუსას ხელმძღვანელობით. ვიზიტის დროს გაიმართა შეხვედრა საგარეო საქმეთა მინისტრ მიხეილ ჯანელიძესთან, რომელმაც ყურადღება გაამახვილა ქვეყნის ინტერესზე გაერო-ს ორგანიზაციებში საქართველოს წარმომადგენლების დასაქმების შესახებ, საერთაშორისო დონეზე საქართველოს უკეთ წარმოჩენის მიზნით. დელეგაციამ, ასევე, შეხვედრები გამართა საქპატენტის თანამშრომლებთან, პატენტრწმუნებულებთან, უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლებთან და სხვა მიზნობრივ ჯგუფებთან, რომელთაც მიეწოდათ ინფორმაცია WIPO-ში დასაქმების შესაძლებლობის შესახებ და განემარტათ ვაკანსიებზე განაცხადის წარდგენის პროცედურები. საქპატენტის ხელმძღვანელობასთან შეხვედრაზე მხარეებმა იმსჯელეს სამოქმედო გეგმის შემუშავებაზე, რომლის საფუძველზეც გაიზრდება ქართველი აპლიკანტების რიცხვი WIPO-ს მიერ გამოცხადებულ ვაკანსიებზე, რაც შესაძლებელს გახდის ქართველების დასაქმებას აღნიშნულ ორგანიზაციაში.
- ინტელექტუალური საკუთრების აკადემიის პროექტის ფარგლებში, საქართველოს ოფიციალური ვიზიტით ეწვია WIPO-ს აკადემიის აღმასრულებელი დირექტორი შერიფ საადალა. მან შეხვედრა გამართა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ღვინის ეროვნული სააგენტოსა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენლებთან. შეხვედრები გაიმართა, ასევე, საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტთან და ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სააგენტოსთან. სტუმარი შეხვდა, აგრეთვე, ინტელექტუალური საკუთრების აკადემიის მომავალ ლექტორებს, რომლებმაც 2016 წელს გაიარეს ინტელექტუალური საკუთრების სფეროში სალექციო კურსი პროგრამის ტექნიკურად და მეთოდოლოგიურად მომზადების სწავლების მაღალი სტანდარტებისა და აუდიტორიის გათვალისწინებით, ცოდნის ხარისხის განმსაზღვრელი სავარჯიშოებისა და სასწავლო მასალების შემუშავების ტრენინგის მე-2 ეტაპი „სწავლების საბაზისო მეთოდოლოგიები“. შემაჯამებელ შეხვედრაზე საქპატენტის თავმჯდომარე ნიკოლოზ გოგილიძესთან ერთად დაისახა სამომავლო თანამშრომლობის გეგმები, კერძოდ: საქართველოში WIPO-ს პროფესიული განვითარების კურსის შემუშავება გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის შესახებ, მოსამართლეებისათვის შემუშავებულ საგანმანათლებლო პროგრამებში საქართველოს მონაწილეობა, სასკოლო ასაკის მოსწავლეების WIPO-ს საგანმანათლებლო პროექტებში ჩართვა (IP 4 kids), WIPO-ს აკადემიის კურსების ქართულ ენაზე თარგმნა და გადამუშავება (DL–101 კურსის საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა), დამხმარე და მეთოდოლოგიური ლიტერატურის გამოცემა.
- WIPO-ს დაფინანსებით საქპატენტის წარმომადგენელმა გაიარა ტურინის ერთწლიანი ინტელექტუალური საკუთრების სამაგისტრო პროგრამა;
- საქპატენტის თანამშრომლებს დაუფინანსდათ WIPO-ს აკადემიის დისტანციური სწავლების კურსები;
- დასრულდა მუშაობა პროექტზე „ინტელექტუალური საკუთრების სახელმწიფო სტრატეგიის შემუშავება საქართველოში“, რომლის ფარგლებში WIPO-ს დახმარებით განხორციელდა საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების სისტემის შეფასება, განისაზღვრა განსავითარებელი სფეროები და შემუშავდა განსახორციელებელი აქტივობების გეგმა, რომლის სტრატეგია განხილულ იქნა WIPO-ს თანაორგანიზებით თბილისში მოწყობილ კონფერენციაზე: „ინტელექტუალური საკუთრების სტრატეგიები“.

თანამშრომლობა საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობასთან

2016 წელს საქპატენტსა და საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის თანამშრომლობით, „ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების“ (DCFTA) სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მიზნით, განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- TAIEX-ის პროგრამის ფარგლებში ჩატარდა სამუშაო შეხვედრა ინტერნეტ სერვის პროვაიდერების პასუხისმგებლობის შესახებ. აღნიშნულ შეხვედრაზე საქართველოს საჯარო სამსახურებისა და კერძო სექტორის წარმომადგენლები გაეცნენ ევროკავშირის კანონმდებლობას, მიდგომებსა და გამოცდილებას ინტერნეტ სერვის პროვაიდერების პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით. მიღებული ინფორმაცია გამოყენებული იქნება „ელექტრონული კომერციის შესახებ“ საქართველოს კანონპროექტის მომზადების დროს, რომელიც ითვალისწინებს ნორმებს ინტერნეტ სერვის პროვაიდერების პასუხისმგებლობის შესახებ.
- ევროკავშირის პროექტის „მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე საქართველოში“ დაფინანსებით, ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია „საქართველო კონტრაფაქციის წინააღმდეგ DCFTA-ს კონტექსტში“, რომლის ფარგლებშიც მოხდა ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სფეროში არსებული ევროპული და საერთაშორისო სტანდარტებისა და გამოცდილების გაზიარება. კონფერენციაზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენელთა აქტიურობის გაზრდას ინტელექტუალური საკუთრების უფლებების აღსრულების მიმართულებით.

საქპატენტი ჩაერთო ევროკავშირის ინოვაციებისა და კვლევების პროგრამის „Horizon 2020“-ის მიერ დაფინანსებულ პროექტში „ინტელექტუალური საკუთრების მნიშვნელობა მცირე და საშუალო საწარმოებისათვის“ (Value of Intellectual Property for SME – VIP4SME), რომელიც ითვალისწინებს მცირე და საშუალო საწარმოებისათვის საინფორმაციო შეხვედრების, კონფერენციებისა და სემინარების ჩატარებას ინტელექტუალური საკუთრების სფეროში ცნობიერების ამაღლების მიზნით.

თანამშრომლობა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობასთან

2016 წელს საქპატენტმა, ამერიკის შეერთებული შტატების სამთავრობო ორგანიზაციებთან (საქართველოში აშშ-ს საელჩო, USAID, G-PriED, CLDP და USPTO) თანამშრომლობის ფარგლებში, განახორციელა შემდეგი ღონისძიებები:

- საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტის (USAID/G-Pried) მხარდაჭერით 100-ზე მეტ საჯარო სკოლის IV-VI კლასის მოსწავლეებს 26 აპრილთან – ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო დღესთან დაკავშირებით სპეციალური გაკვეთილები ჩაუტარდათ. G-Pried-მა საქპატენტთან კონსულტაციების შედეგად შეიმუშავა გაკვეთილის გეგმა, რომლის მიზანი იყო ბავშვებში ინტელექტუალური საკუთრების, კერძოდ, საავტორო უფლებების დაცვის მნიშვნელობის შესახებ ცნობიერების ამაღლება. სასწავლო მასალად გამოყენებულ იქნა საავტორო უფლებების თემაზე G-Pried-ისა და საქპატენტის თანამშრომლობით შექმნილი ზღაპარი „დორემიუს სოლასი“, რომელიც ბავშვებს საჩუქრად გადაეცათ.
- CLDP-ისა და USPTO-ს მხარდაჭერით, აშშ-ს გამოცდილების გაზიარების მიზნით, ჩატარდა სამუშაო შეხვედრა ქართველი მოსამართლეებისთვის, რომელზეც აშშ-ს მოსამართლეებმა ქართველ კოლეგებთან ერთად განიხილეს აშშ-ს პრაქტიკა ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ დავებზე. ასევე, ჩატარდა სემინარი მასმედიის წარმომადგენლებისთვის, სადაც ქართველმა და ამერიკელმა ექსპერტებმა ისაუბრეს ინტელექტუალური საკუთრების სხვადასხვა ობიექტებზე და მათი დაცვის ეკონომიკურ მნიშვნელობაზე.
- CLDP-ის და USPTO-ს მხარდაჭერით, ჩატარდა სამუშაო შეხვედრა ინტერნეტ სერვის პროვაიდერების პასუხისმგებლობის შესახებ. შეხვედრაზე საჯარო და კერძო სექტორის წარმომადგენლებს ამერიკელმა ექსპერტებმა გააცნეს აშშ-ს მეორადი პასუხისმგებლობების სისტემა და სხვა ინტერნეტ სერვის პროვაიდერთა (ISP-ის) პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული საკითხები.
- USPTO-სა და CLDP-ის მხარდაჭერით, 2016 წელსაც გაგრძელდა საქპატენტის ექსპერტების და იურისტების კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებები, რომლის ფარგლებში განხორციელდა საქპატენტის იურისტებისა და ექსპერტების ვიზიტი აშშ-ში.
- USAID-ს ადამიანური და ინსტიტუციური რესურსების განვითარების პროექტის (HICD 2020) ფარგლებში, მოხდა საქპატენტის საქმიანობის შეფასება საქპატენტის სტრუქტურული განვითარების მიზნით. შეფასების შედეგად შეიქმნა სამოქმედო დოკუმენტი, რომელიც შეიცავს დეტალურ რეკომენდაციებს და მეთოდებს უწყებაში არსებული ხარვეზების აღმოფხვრისა და გამოსწორებისთვის.
- ინტელექტუალური საკუთრების სფეროში აშშ-ს მთავრობის მხარდაჭერით, განხორციელებული პროექტების მიმდინარეობის გაცნობის მიზნით, საქპატენტში გაიმართა საქპატენტის ხელმძღვანელობის შეხვედრა საქართველოში აშშ-ს ელჩ იან კელისთან. შეხვედრაზე იმსჯელეს მომავალი თანამშრომლობის გეგმებზე, კერძოდ, აშშ-ს მთავრობის თანადგომაზე საქპატენტის სამოქმედო გეგმის განხორციელებაში, რომელიც გამოიხატება ინტელექტუალური საკუთრების სასწავლო ცენტრის პროექტის მხარდაჭერაში, ექსპერტიზის პროცესის სრულყოფაში, ასევე, საინოვაციო საქმიანობისა და ბრენდინგის სისტემის განვითარების ხელშეწყობაში.

თანამშრომლობა ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყებასთან (EUIPO)

2016 წელი მნიშვნელოვანი და წარმატებული იყო EUIPO-სთან თანამშრომლობის კუთხით. განსაკუთრებით აღსანიშნავია 6-7 ივლისს EUIPO-ს აღმასრულებელი დირექტორის ანტონიო კამპინოსის ვიზიტი, რომელიც საქართველოში პირველად იმყოფებოდა საქართველოს პრემიერ-მინისტრის გიორგი კვირიკაშვილის მოწვევით. აღნიშნულმა ვიზიტმა საქართველოსა და EUIPO-ს ურთიერთობები ახალ საფეხურზე აიყვანა. ვიზიტის ფარგლებში:

- გაიმართა შეხვედრა საქართველოს პრემიერ-მინისტრთან გიორგი კვირიკაშვილთან, სადაც EUIPO-ს აღმასრულებელმა დირექტორმა ანტონიო კამპინოსმა მთავრობის მეთაურს გააცნო EUIPO-ს და საქპატენტის ერთობლივი საქმიანობის შედეგები და მიღწეული პროგრესი. შეხვედრაზე, აგრეთვე, ისაუბრეს ახალი პროექტის დაწყების საჭიროებაზე, რომლის ფარგლებშიც EUIPO-ს სასაქონლო ნიშნების და დიზაინების სახელმძღვანელოებზე დაყრდნობით შემუშავდება ქართული სახელმძღვანელოები.
- შეხვედრები შედგა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრ დიმიტრი ქუმსიშვილთან, საგარეო საქმეთა მინისტრ მიხეილ ჯანელიძესთან, საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელ იანოშ ჰერმანთან და საქართველოში მოღვაწე ბიზნესის წარმომადგენლებთან. შეხვედრების მსვლელობისას ყურადღება გამახვილდა EUIPO-ს სასაქონლო ნიშნებისა და დიზაინის ბაზებში ქართული მონაცემთა ბაზების ინტეგრაციის მნიშვნელობაზე.

EUIPO-სა და საქპატენტს შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში, 2016 წელს განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- მოხდა საქპატენტის სასაქონლო ნიშნების და დიზაინების მონაცემთა ბაზების ინტეგრირება EUIPO-ს მონაცემთა ბაზებში TM View და DS View, რაც უცხო ქვეყნის მომხმარებლებს EUIPO-ს ვებგვერდზე საქართველოში რეგისტრირებული ნიშნების და დიზაინების შესახებ ინფორმაციის მოძიების საშუალებას აძლევს. გარდა ამისა, ამავე ვებგვერდიდან შესაძლებელია EUIPO-ს მონაცემთა ბაზებში ძიება ქართული ინტერფეისის გამოყენებით. საქპატენტი, ასევე, მიუერთდა TMclass-ის პროგრამას, რომლის საშუალებით შესაძლებელია საქონლისა და მომსახურების ჩამონათვალის ძიება და თარგმნა 42 ენაზე.
- საქპატენტის ექსპერტებმა, კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, მონაწილეობა მიიღეს EUIPO-ს მიერ ორგანიზებულ სემინარებსა და სამუშაო შეხვედრებში, ასევე, გაიარეს EUIPO-ს აკადემიის დისტანციური სწავლების კურსები.

თანამშრომლობა ევროპის საპატენტო უწყებასთან (EPO)

საქპატენტსა და EPO-ს შორის ხელმოწერილი ორწლიანი თანამშრომლობის გეგმის ფარგლებში, 2016 წელს განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- EPO-ს მიწვევით, ევროპული საპატენტო ინფორმაციული ცენტრების მუშაობის გამოცდილების გაცნობის მიზნით, საქპატენტის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს კონფერენციაში „PATLIB 2016“.
- კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, ქართველმა ექსპერტებმა გაიარეს EPO-ს აკადემიის დისტანციური სწავლების კურსები.
- EPO-ს მხარდაჭერით საქართველოს დელეგაცია სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა ბალტიისპირეთის ქვეყნებში – ესტონეთში, ლიტვასა და ლატვიაში. ვიზიტის მიზანი იყო აღნიშნული ქვეყნების გამოცდილების გაზიარება ევროპის საპატენტო უწყებასთან თანამშრომლობის კუთხით, რაც საქართველოს დაეხმარება შეაფასოს EPO-თან ვალიდაციის ხელშეკრულების გაფორმების გავლენა საქართველოს საპატენტო სისტემაზე. ვიზიტის ფარგლებში გაიმართა საქპატენტის დელეგაციის შეხვედრები აღნიშნული ქვეყნების საპატენტო უწყებებთან, პატენტრწმუნებულებთან და კერძო სექტორის წარმომადგენლებთან.

საქპატენტის წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო EPO-ში გამართულ კონფერენციაში „IP Executive Week“. ღონისძიებაზე განხილულ იქნა EPO-ს, EUIPO-ს, ასევე, ევროკავშირისა და EPO-ს წევრი ქვეყნების ინტელექტუალური საკუთრების უწყებების უკანასკნელი მიღწევები და სიახლეები, რაც ემსახურება ქვეყნებს შორის გამოცდილების გაზიარებასა და მოსაზრებების გაცვლას.

თანამშრომლობა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობასთან

2016 წელს აქტიური თანამშრომლობა მიმდინარეობდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის უწყებებთან. განსაკუთრებით აღსანიშნავია უპრეცედენტოდ მოკლე ვადაში (7 თვეში) ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების მოლაპარაკებების წარმატებით დასრულება. აღნიშნულ ხელშეკრულებაში ინტელექტუალური საკუთრების დაცვას ცალკე თავი ეთმობა და საქპატენტის დელეგაცია აქტიურად იყო ჩართული მთელი მოლაპარაკებების პროცესში. მნიშვნელოვანია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ინდუსტრიისა და კომერციის სახელმწიფო ადმინისტრაციულ უწყებასთან (SAIC) თანამშრომლობის გაღრმავება, რომლის ფარგლებშიც მოხდა შეთანხმება ურთიერთშეთანხმების მემორანდუმის ტექსტზე, რომელსაც ხელი მოეწერება 2017 წელს, SAIC-ის ვიცე მინისტრის საქართველოში ოფიციალური ვიზიტის დროს.

2016 წელი, ასევე, აქტიური იყო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ინტელექტუალური საკუთრების სახელმწიფო უწყებასთან (SIPO) თანამშრომლობის კუთხით. SIPO-ს ხელმძღვანელსა და საქპატენტის თავმჯდომარეს შორის გამართულ ოფიციალურ შეხვედრაზე, უწყებებს შორის თანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, ხელი მოეწერა სამოქმედო გეგმას, რომლის ფარგლებში დაიგეგმა და განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- საქპატენტისა და SIPO-ს ერთობლივი სემინარების გამართვა ინტელექტუალური საკუთრების თემაზე, ქართული საზოგადოების მიერ ჩინეთის ინტელექტუალური საკუთრების სისტემის უკეთ გაცნობის მიზნით.
- SIPO-სა და საქპატენტის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებზე უწყებების თანამშრომლების მიწვევა, ქვეყნებს შორის გამოცდილების გაზიარების მიზნით;
- ექსპერტიზის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით,



გამოცდილების გაზიარება საპატენტო ექსპერტიზის მიმართულებით, რისთვისაც გამოყენებული იქნება SIPO-ს საპატენტო ექსპერტიზის სისტემა "Cloud Patent Examination System" (CPES);

- საქპატენტის თავმჯდომარემ მონაწილეობა მიიღო WIPO-ს და SIPO-ს მიერ ერთობლივად ორგანიზებულ კონფერენციაში ინტელექტუალური საკუთრება „ერთი სარტყელი – ერთი გზა" ქვეყნებისთვის (Intellectual Property for Countries Along the Belt and Road);
- დაიგეგმა SIPO-ს კომისრის მოადგილის ვიზიტი საქართველოში თანამშრომლობის გაღრმავებისა და საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების სისტემის უკეთ გაცნობის მიზნით.

საერთაშორისო თანამშრომლობა ინტელექტუალური საკუთრების უწყებებთან

ინტელექტუალური საკუთრების სფეროში საერთო გამოწვევების დასაძლევად და თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით, 2016 წელს საქპატენტი აქტიურად აგრძელებდა კონსულტაციებს ინტელექტუალური საკუთრების სხვადასხვა უწყებებთან, კერძოდ:

- საქართველოში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა ბულგარეთის საპატენტო უწყების დელეგაცია, ვიცე პრეზიდენტის დავიდ სუკალინსკის ხელმძღვანელობით. ვიზიტის ფარგლებში ხელი მოეწერა სამოქმედო გეგმას საქართველოსა და ბულგარეთის ინტელექტუალური საკუთრების უწყებებს შორის, რომელიც ითვალისწინებს ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებას მნიშვნელოვან საკანონმდებლო აქტივობებზე, ასევე, ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების რეგისტრაციასთან დაკავშირებულ პრაქტიკულ საკითხებსა და ექსპერტთა კვალიფიკაციის ამაღლებას. აღნიშნული სამოქმედო გეგმის ფარგლებში, ასევე, განხორციელდა საქპატენტის წარმომადგენლების ვიზიტი ბულგარეთში, ბულგარეთის ინტელექტუალური საკუთრების სისტემის გაცნობისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით.
- საქპატენტს ოფიციალური ვიზიტით ეწვია მოლდოვის ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული სააგენტოს (AGEPI) დელეგაცია გენერალური დირექტორის ოქტავიან აპოსტოლსის ხელმძღვანელობით. უწყებების ხელმძღვანელებს შორის გამართულ შეხვედრაზე განხილულ იქნა საქართველოსა და მოლდოვაში ინტელექტუალური საკუთრების სფეროში არსებული გამოწვევები და ერთობლივი თანამშრომლობის გეგმები აღნიშნული გამოწვევის დაძლევის მიზნით.
- საქპატენტს ოფიციალური ვიზიტით სტუმრობდა დანიის საპატენტო უწყების დელეგაცია უწყების გენერალური დირექტორის მოადგილის კელდ იენსენის ხელმძღვანელობით. შეხვედრაზე განხილულ იქნა საქპატენტისა და დანიის ინტელექტუალური საკუთრების უწყების სამომავლო თანამშრომლობის გეგმები.
- საქპატენტს სამუშაო ვიზიტით ეწვია ავსტრიის საპატენტო ოფისის (APO) დელეგაცია, პრეზიდენტის – მარიანა კარეპოვას ხელმძღვანელობით. ორმხრივ შეხვედრაზე უწყების ხელმძღვანელები შეთანხმდნენ სამოქმედო გეგმის შემუშავებაზე, სადაც ასახული იქნება ერთობლივი ღონისძიებების ნუსხა: კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, საქპატენტის ექსპერტებისთვის ტრენინგების გამართვა ავსტრიაში, ასევე, კონსულტაციები საინოვაციო საქმიანობის განვითარებასთან და საპატენტო ვაუჩერების პროგრამასთან დაკავშირებით. აღნიშნული ვიზიტის ფარგლებში ავსტრიელმა ექსპერტებმა ერთკვირიანი ტრენინგი ჩაუტარეს საქპატენტის გამოგონების ექსპერტებს. 2016 წელს, ასევე, განხორციელდა ავსტრიელი ექსპერტების კიდევ ერთი ვიზიტი საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გამოგონების ექსპერტების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით.
- თურქეთის საპატენტო ინსტიტუტის (TPI) პრეზიდენტი ჰაბიბ ასანი ორჯერ იმყოფებოდა ოფიციალური ვიზიტით საქართველოში უწყებებს შორის მჭიდრო თანამშრომლობის და ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების მიზნით. თურქეთის საპატენტო ინსტიტუტსა (TPI) და საქპატენტს შორის გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე, ხელი მოეწერა სამოქმედო გეგმას, რომლის ფარგლებშიც ორი ქვეყნის ინტელექტუალური საკუთრების უწყება ითანამშრომლებს ექსპერტების კვალიფიკაციის ამაღლების, გამოცდილების გაზიარების, ერთობლივი ღონისძიებების ორგანიზებისა და ახალი საკანონმდებლო აქტების შემუშავების პროცესში კონსულტაციების გამართვის მიმართულებით; სამოქმედო გეგმა, ასევე, ითვალისწინებს საქართველოს წარმომადგენლის მონაწილეობის დაფინანსებას WIPO-ს და ანკარის უნივერსიტეტის ერთობლივ ინტელექტუალური საკუთრების სამაგისტრო პროგრამაში.
- საქართველოში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა ლატვიის საპატენტო უწყების ხელმძღვანელი სანდრის ლაგანოვსკისი. საქპატენტის ხელმძღვანელობასთან შეხვედრის დროს განხილულ იქნა უწყებებს შორის თანამშრომლობის პერსპექტივები, განსაკუთრებით, ევროპის საპატენტო უწყებასთან თანამშრომლობის კუთხით.
- გაიმართა ოფიციალური შეხვედრა ისრაელის საპატენტო უწყების დირექტორს და საქპატენტის თავმჯდომარეს ნიკოლოზ გოგილიძეს შორის, რომელზეც განხილულ იქნა უწყებებს შორის თანამშრომლობის პერსპექტივები გამოცდილების გაზიარებისა და ექსპერტების კვალიფიკაციის ამაღლების მიმართულებით.
- საქპატენტის თავმჯდომარე შეხვდა ირანის ინტელექტუალური საკუთრების უწყების ხელმძღვანელს. შეხვედრაზე შედგა შეთანხმება უწყებებს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმებაზე ერთობლივი ღონისძიებების გამართვისა და თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით.
- გაიმართა საქპატენტის თავმჯდომარის შეხვედრა სერბეთის ინტელექტუალური საკუთრების უწყების ხელმძღვანელთან, რომელზეც განხილულ იქნა უწყებებს შორის თანამშრომლობის პერსპექტივები მცირე და საშუალო საწარმოებში ინტელექტუალური საკუთრების შეფასების პროგრამასა და გამოცდილების გაზიარებასთან დაკავშირებით.
- უწყებებს შორის გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, შეხვედრა შედგა უნგრეთის ინტელექტუალური საკუთრების უწყების ხელმძღვანელობასთან, უნგრეთის ინტელექტუალური საკუთრების საკოორდინაციო საბჭოსა და საქპატენტთან არსებული უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს თანამშრომლობისა და ურთიერთგამოცდილების გაზიარების საკითხებზე.

კონფერენციები/ 2016

სახელი: **INTA 2016**
თარიღი და ადგილი: **20-25 მაისი ორლანდო (ფლორიდა, აშშ)**
ორგანიზატორი: **სასაქონლო ნიშნების საერთაშორისო ასოციაცია (INTA)**

საქპატენტმა მონაწილეობა მიიღო INTA-ს ყოველწლიურ შეხვედრაში, რომელიც ყველაზე მნიშვნელოვანი ღონისძიებაა მსოფლიოში სასაქონლო ნიშნებთან მიმართებაში, სადაც საქართველოს შესახებ ინფორმაციას მსოფლიოს 10000-ზე მეტი ცნობილი ბრენდების მფლობელი კომპანიების, იურიდიული კომპანიებისა და ინტელექტუალური საკუთრების სფეროში არსებული უწყებების წარმომადგენლები გაეცნენ.
INTA-ს 2016 წლის შეხვედრაზე ორლანდოში 10108 მონაწილე დარეგისტრირდა, რაც უპრეცედენტოდ მაღალი მაჩვენებელია ასოციაციის ისტორიაში. ყოველწლიური შეხვედრის ფარგლებში, გაიმართა INTA-ს კომიტეტების სხდომები, დისკუსიები, ორმხრივი და სამუშაო ჯგუფების შეხვედრები და გამოფენა.
ღონისძიება გახსნა INTA-ს აღმასრულებელმა დირექტორმა ეტიენ სანზმა და კომპანიის “Warner Bros.” სამომხმარებლო საქონლის პრეზიდენტმა და კონტენტის ხელმძღვანელმა დიან ნელსონმა. გარდა იმისა, რომ აღინიშნა მაღალი დასწრება, ტრადიციულ პროგრამას დაემატა ახალი ღონისძიება – ინტელექტუალური საკუთრების უწყებებისა და ატაშეების ღია კარის დღე, სადაც უწყებებმა გააცნეს სტუმრებს თავიანთ ქვეყნებში არსებული გამოწვევები და მიღწეული პროგრესი. ღონისძიების ისტორიაში პირველად გაიმართა ინტელექტუალური საკუთრების უწყებების სამუშაო ჯგუფის შეხვედრა თემაზე – „21-ე საუკუნის ინტელექტუალური საკუთრების უწყების ჩამოყალიბებისკენ“, რომლის კოორდინატორები იყვნენ დიდი ბრიტანეთის, სინგაპურისა და ჩილეს საპატენტო უწყებები.

ღონისძიების პარალელურად გაიმართა გამოფენა, რომელზეც წარმოდგენილი იყო 200-ზე მეტი იურიდიული კომპანიის, ინტელექტუალური საკუთრების უწყებებისა და ბიზნესის წარმომადგენლის სტენდები. 2016 წელს პირველად გამოფენაში მონაწილეობდა საქპატენტი. გამოფენის მონაწილეებს დაურიგდათ საინფორმაციო ბუკლეტები საქართველოში ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების რეგისტრაციის, უფლებების აღსრულების მექანიზმების, საინვესტიციო კლიმატის, ტურიზმის შესაძლებლობებისა და ბიზნესის წარმოების შესახებ, ასევე, საჩუქრად გადაეცათ საქართველოში დაცული ადგილწარმოშობის დასახელების და გეოგრაფიული

აღნიშვნების პროდუქტები (ღვინოები და ჩურჩხელა) და გაეწიათ კონსულტაციები ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებთან დაკავშირებით. საქართველოს სტენდმა დიდი დაინტერესება გამოიწვია მონაწილეთა შორის და წარმოაჩინა რა საქართველოს იმიჯი, როგორც დადებითი საინვესტიციო კლიმატის მქონე ქვეყნის, ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ საქართველოს სახელმწიფოს ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს ინტელექტუალური საკუთრების სათანადო დონეზე დაცვა წარმოადგენს.

გამოფენაში მონაწილეობა მიიღო ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციამ (WIPO), ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყებამ (EUIPO), იაპონიის საპატენტო უწყებამ (JPO), კორეის ინტელექტუალური საკუთრების უწყებამ (KIPO) და აფრიკის რეგიონული ინტელექტუალური საკუთრების ორგანიზაციამ (ARIPO). აღსანიშნავია, ასევე, ინტელექტუალური საკუთრების სხვა უწყებების აქტიურობა. ღონისძიებაში, ასევე, მონაწილეობა მიიღეს საქართველოს პატენტრწმუნებულებმა, სადაც მათ საშუალება ჰქონდათ მოეძიათ და პირადად შეხვედროდნენ პოტენციურ კლიენტებს.

ღონისძიების ფარგლებში, გაიმართა INTA-ს სასაქონლო ნიშნების უწყებათა პრაქტიკის კომიტეტის ევროპის ეროვნული სასაქონლო ნიშნების უწყებების ურთიერთობათა ქვეკომიტეტის სამუშაო შეხვედრები, რომელშიც ბენელუქსის, ჩეხეთის, დანიის, საფრანგეთის, ნორვეგიის, სლოვაკეთის, თურქეთისა და დიდი ბრიტანეთის უწყებებთან ერთად მონაწილეობდნენ საქპატენტის წარმომადგენლებიც. მათ მონაწილეებს გააცნეს სასაქონლო ნიშნების დაცვის ეფექტური სისტემის ჩამოყალიბების კუთხით საქართველოს მიერ განხორციელებული პროექტები და მიღწეული პროგრესი.

საქპატენტის თავმჯდომარემ ნიკოლოზ გოგილიძემ უხელმძღვანელა მრგვალ მაგიდას თემაზე: „ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ახალი ეტაპი „ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების“ განხორციელების შემდეგ“. საქპატენტის წარმომადგენლებმა, ასევე, მიიღეს მონაწილეობა ინტელექტუალური საკუთრების უწყებებისა და ატაშეების ღია კარის დღეზე, სადაც განიხილეს ინტელექტუალური საკუთრების სფეროში არსებული გამოწვევები და მათი დაძლევის გზები.

INTA-ს ღონისძიების ფარგლებში, სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივების განხილვის მიზნით, გაიმართა ორმხრივი შეხვედრები აშშ-სა და იაპონიის ინტელექტუალური საკუთრების უწყებების წარმომადგენლებთან. მსოფლიოს ისეთი მსხვილი კომპანიების წარმომადგენლებთან შეხვედრისას, როგორებიც არის: Brown Forman, Novartis და Servier განხილულ იქნა საქართველოში მათი საქმიანობის სამომავლო გეგმები ინტელექტუალური საკუთრების უფლებების აღსრულების კუთხით. აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვის და აღსრულების სისტემის პოპულარიზაციას და პოტენციური განმცხადებლების მოზიდვას.

სასაქონლო ნიშნების საერთაშორისო ასოციაცია (INTA) სასაქონლო ნიშნების მფლობელთა გლობალური კავშირია, რომელშიც გაერთიანებულია 190 ქვეყნის 6700 ორგანიზაცია. INTA-ს საქმიანობა მიმართულია სასაქონლო ნიშნებისა და, ზოგადად, ინტელექტუალური საკუთრების სისტემის განვითარების მხარდაჭერისაკენ. INTA, ასევე, ახორციელებს საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებისაკენ მიმართულ საქმიანობას და სხვადასხვა მიმართულებით სასაქონლო ნიშნების სისტემის პროპაგანდას, სთავაზობს საგანმანათლებლო პროგრამებს, ასევე, უზრუნველყოფს სასაქონლო ნიშნების მფლობელთა უფლებების დაცვის ხელშეწყობას, მათთვის იურიდიულ დახმარებასა და ზრუნავს შესაბამისი კანონმდებლობის სრულყოფაზე. INTA-ს ყოველწლიურ შეხვედრასა და გამოფენაზე რეგულარულად მონაწილეობენ მსოფლიოს ცნობილი ბრენდების მფლობელი კომპანიები, მოწინავე იურიდიული კომპანიები და ინტელექტუალური საკუთრების სფეროში არსებული საერთაშორისო, რეგიონული და ეროვნული უწყებები.

სახელი: **„საქართველო კონტრაფაქციის წინააღმდეგ DCFTA-ს კონტექსტში“**

თარიღი და ადგილი: **1-2 აგვისტო ბათუმი (საქართველო)**

ორგანიზატორი: **საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი – „საქპატენტი“, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტი „მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე საქართველოში“.**

რიგით მე-2 საერთაშორისო კონფერენცია „საქართველო კონტრაფაქციის წინააღმდეგ DCFTA-ს კონტექსტში“ მიზნად ისახავდა მცირე და საშუალო საწარმოების წარმომადგენლების ინფორმირებას ინტელექტუალური საკუთრების უფლებების აღსრულების მექანიზმების შესახებ, მათი აქტიურობის გაზრდას კონტრაფაქციასთან ბრძოლაში და, ასევე, საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებას. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო კონტრაფაქციის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე კერძო და საჯარო სექტორებს შორის დიალოგის გაღრმავებას, წარმატებული მაგალითებისა და არსებული გამოწვევების განხილვას.

კონფერენცია გახსნა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილემ გენადი არველაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ ინტელექტუალური საკუთრების დაცვა და მისი ეფექტური აღსრულება ქვეყანაში ინოვაციების მთავარი მასტიმულირებელი ინსტრუმენტია, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს გრძელვადიან ეკონომიკურ ზრდას ქვეყანაში. ამდენად, ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ეფექტური დაცვის და აღსრულებისათვის საჭიროა ბიზნეს სექტორის, სახელმწიფო უწყებებისა და საზოგადოების ძალისხმევის კოორდინაცია და ერთიანი სისტემური მიდგომების შემუშავება. საქპატენტის თავმჯდომარემ ნიკოლოზ გოგილიძემ მისასალმებელ სიტყვაში ხაზი გაუსვა ფორუმის მნიშვნელობას საქართველოში ინტელექტუალური საკუთრების დაცვისა და აღსრულების საკითხებზე საზოგადოების ინფორმირებულობის დონის ამაღლების მიმართულებით. ევროკავშირის დელეგაციის ხელმძღვანელის მოადგილე კარლო ნატალე კი მიესალმა ქვეყანაში ინტელექტუალური უფლებების დაცვისა და აღსრულებისკენ მიმართულ ძალისხმევას. მისასალმებელი სიტყვით, ასევე, წარსდგნენ: ფილიპ შტაინჰაიმი – „მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება და DCFTA საქართველოში“ პროექტის ხელმძღვანელი, ზურაბ კაჭკაჭიშვილი – საქართველოში საერთაშორისო სავაჭრო პალატის ეროვნული კომიტეტის გენერალური მდივანი, ნინო ჩიქოვანი – საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდენტი და დავით საგანელიძე – საპარტნიორო ფონდის აღმასრულებელი დირექტორი.

წლევანდელი ღონისძიება წარმომადგენლობითი იყო როგორც მონაწილეების, ისე სპიკერების მხრივ. კონფერენციას ესწრებოდნენ სახელმწიფო სექტორის, საერთაშორისო და რეგიონული ორგანიზაციების, ასოციაციებისა და ფონდების, მცირე და საშუალო საწარმოების წარმომადგენლები.

კონფერენციაზე, კონტრაფაქციის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე საერთაშორისო გამოცდილება მონაწილეებს გაუზიარეს მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის, ევროპოლის, ICC-ს ორგანიზაციის „ბიზნეს აქტივობები კონტრაფაქციის და მეკობრეობის წინააღმდეგ“ (BASCAP), აშშ-ს, ჩინეთის, იტალიის, უნგრეთისა და რუმინეთის წარმომადგენლებმა.

პირველ სესიასზე, საქართველოში ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვის სისტემის და უფლებების აღსრულების მექანიზმების და ბოლო ერთი წლის განმავლობაში უწყებების მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ, მოხსენებით წარსდგნენ საქპატენტის თავმჯდომარე ნიკოლოზ გოგილიძე, საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციის თავმჯდომარე გიგა კობალაძე, ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის უფროსის მოადგილე

გიორგი კობეშავიძე და ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის უფროსი გამომძიებელი გიორგი გოგალაძე. თავის გამოსვლაში ნიკოლოზ გოგილიძემ აღნიშნა რა საქპატენტთან არსებული ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა დაცვის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს ეფექტური საქმიანობა, ხაზი გაუსვა ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყების სასაქონლო ნიშნისა და დიზაინის ბაზებში ქართული მონაცემთა ბაზების ინტეგრაციისა და ქართული ინტერფეისის გამოყენებით ძიების საშუალებების მნიშვნელობას.

საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციის თავმჯდომარის გიგა კობალაძის ინფორმაციით ბოლო ერთი წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად გააქტიურდა მეკობრეობასთან ბრძოლა, გაიზარდა როგორც ასოციაციის წევრების რაოდენობა, ისე გაფორმებული ლიცენზიების, შეგროვებული და განაწილებული ჰონორარებისა და ახალი ურთიერთწარმომადგენლობითი ხელშეკრულებების რაოდენობა.

ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის ეფექტური საქმიანობის შედეგად, 2015 წლის მონაცემებით, საბაჟო დეპარტამენტის მიერ გამოიცა საქონლის შეჩერების შესახებ 73 ბრძანება, რაც 29-ით აღემატება 2014 წლის იმავე მაჩვენებელს. 58 შემთხვევაში, უფლების მფლობელსა და საქონლის მფლობელს შორის, შედგა შეთანხმება საქონლის განადგურების თაობაზე, 9 შემთხვევაში უფლების მფლობელმა სარჩელით მიმართა სასამართლოს. დანარჩენ შემთხვევებში კი ვერ დადგინდა საქონლის კონტრაფაქციულობა და საქონელი გაშვებულ იქნა.

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის უფროსმა გამომძიებელმა გიორგი გოგალაძემ თავის მოხსენებაში აღნიშნა, რომ ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტმა დაიწყო და დაასრულა გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 189-ე და 196-ე მუხლით გათვალისწინებულ 30-მდე საქმეზე, რაც საავტორო, მომიჯნავე უფლების მფლობელისა და მონაცემთა ბაზის დამამზადებლის უფლების ხელყოფასა და სასაქონლო ნიშნის ან სხვა კომერციული აღნიშვნის მართლსაწინააღმდეგო გამოყენებას ითვალისწინებს. კერძოდ, ზემოაღნიშნულ პერიოდში საქართველოს სსკ-ს 189-ე მუხლით გათვალისწინებულ საავტორო უფლების ხელყოფის ფაქტზე, კონტრაფაქციული ასლების რეპროდუცირებისა და რეალიზაციის, ასევე, სსკ-ს 196-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულებრივ ქმედებებზე დადგა სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი და, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ჩამორთმეული საქონელი განადგურდა ან მიქცეულ იქნა სახელმწიფოს სასარგებლოდ.

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური გახდა ინტელექტუალური საკუთრების უფლებების აღსრულების უწყებათაშორის საკოორდინაციო საბჭოს ერთ-ერთი წევრი. საბჭო ხელს უწყობს საქპატენტსა და საგამოძიებო სამსახურს შორის მჭიდრო კოორდინირებას. საგამოძიებო სამსახური, საქპატენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, ატარებს წინასაგამოძიებო მოქმედებებს და, მართლსაწინააღმდეგო ქმედების გამოვლენის შემთხვევაში, საქმეზე იწყებს გამოძიებას.

2015 წელს ევროსაბჭოს დაფინანსებით დაიწყო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის შესაძლებლობათა გაუმჯობესების „ტვინინგის“ ორწლიანი პროექტი, რომლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს ინტელექტუალური საკუთრების კუთხით ჩადენილი დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლა. ევროკავშირის ექსპერტები, საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებთან ერთად, მუშაობენ ინტელექტუალური საკუთრების უფლებების გამოძიების, ტექნოლოგიებისა და ოპერაციული მექანიზმების სრულყოფაზე და საგამოძიებო სამსახურის ადმინისტრაციული შესაძლებლობების გაძლიერებაზე ევროკავშირის და საერთაშორისო



სტანდარტების შესაბამისად. ამასთან დაკავშირებით, საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლები არაერთხელ იმყოფებოდნენ სასწავლო ვიზიტით ფინეთში და ნიდერლანდებში, სადაც ევროპელმა კოლეგებმა მათ გააცნეს ინტელექტუალური საკუთრების წინააღმდეგ ბრძოლის უახლესი მეთოდები და ტექნოლოგიები. აღნიშნული პროექტის ფარგლებში, საგამოძიებო სამსახურში ტარდება ტრენინგები და სემინარები, რომლებსაც უძღვებიან ევროკავშირის ექსპერტები. გარდა ამისა, „ტვინინგის“ პროექტი ითვალისწინებს რეკომენდაციების შემუშავებას ინტელექტუალური საკუთრების წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის დახვეწის მიზნით.

კონფერენციაზე ევროპაში ინტელექტუალური საკუთრების დანაშაულის წინააღმდეგ მოქმედ სააღსრულებლო ქმედებებზე ისაუბრა ევროპოლის ინტელექტუალური საკუთრების კრიმინალური დაზვერვის ოფიცერმა ბერანჟერ დრენომ. მისი მოხსენება ეხებოდა ინტელექტუალური საკუთრების დანაშაულის მაჩვენებელს ევროკავშირში, ევროპოლის მიზნებსა და ფუნქციებს და მათ მიერ გატარებულ სააღსრულებო ქმედებებს და წარმატებით განხორციელებულ ოპერაციებს, სამომავლო გეგმებსა და მიმდინარე გამოწვევებს. მნიშვნელოვანია, რომ უახლოეს მომავალში, საქართველო დაიწყებს თანამშრომლობას ევროპოლთან.

აშშ-ს გამოცდილება კონტრაფაქციასთან ბრძოლის საკითხებზე მონაწილეებს გააცნო აშშ-ს პატენტებისა და სასაქონლო ნიშნების უწყების ინტელექტუალური საკუთრების რეგიონულმა ატაშემ დონალდ ტაუნსენდმა. მან ისაუბრა აშშ-ს ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ეროვნული ცენტრის საქმიანობაზე, აშშ-ს საბაჟო და სასაზღვრო დაცვის მიერ კონტრაფაქციული საქონლის დაკავების სტატისტიკაზე, აშშ-ს მთავრობის მიერ სადისტრიბუციო ქსელის კონტრაფაქციისაგან დაცვაზე, წარმატებით ჩატარებულ ოპერაციებსა და რეგიონული თანამშრომლობის საკითხებზე.

ქვეყნების გამოცდილებაზე კონტრაფაქციასთან ბრძოლის მიმართულებით ისაუბრეს, ასევე, ჩინეთის, რუმინეთის და უნგრეთის ინტელექტუალური საკუთრების უწყების წარმომადგენლებმა.

საერთაშორისო სავაჭრო პალატის პროექტის „ბიზნესი კონტრაფაქციის და მეკობრეობის შესაჩერებლად“ (BASCAP) წარმომადგენელმა ისაუბრა კონტრაფაქციის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით მათ მიერ შემუშავებულ სახელმძღვანელო პრინციპებზე, გატარებულ ღონისძიებებსა და პროექტებზე. მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის წარმომადგენელმა სანდრა ვეინსმა ისაუბრა საბაჟოს როლზე ინტელექტუალური საკუთრების სასაზღვრო აღსრულებაში, მათი უწყების საქმიანობაზე, წარმატებულ ოპერაციებზე და ინსტრუმენტებზე.

კონფერენციაზე კერძო სექტორის წარმომადგენლებმა გააკეთეს მოხსენებები ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვის კუთხით არსებულ გამოწვევებზე.

იურისტმა ინტელექტუალური საკუთრების დარგში (IP lawyer) ელიო დი ტულიომ ისაუბრა ფინანსურად მომგებიანი ინტელექტუალური საკუთრების უფლების დაცვის სტრატეგიაზე მცირე და საშუალო ბიზნესისთვის. საქართველოს პატენტრწმუნებულთა ასოციაციის თავმჯდომარემ – გიორგი თაქთაქიშვილმა კი განიხილა საქართველოს სასამართლოს ტენდენციები კონტრაფაქციული საქონლის განადგურებასთან დაკავშირებით.

ღონისძიებაზე, ასევე, განხილულ იქნა მეკობრეობასთან ბრძოლის საკითხები და შუამავალთა როლი კონტრაფაქციული და მეკობრული საქონლის გასაღებისას. ამ მიმართულებით, აშშ-ს გამოცდილება მონაწილეებს გაუზიარა აშშ-ს პატენტებისა და სასაქონლო ნიშნების უწყების ინტელექტუალური საკუთრების რეგიონულმა ატაშემ დონალდ ტაუნსენდმა. საქართველოში არსებული



მდგომარეობა, კერძოდ კი კონტრაფაქციული ასლების გავლენა ლეგალურ ბიზნესზე მიმოიხილა ხმის ჩამწერი სტუდიის, მუსიკალური ბიზნეს კომპანიისა და მუსიკალური მაღაზიის – „ბრავო რეკორდსის“ წარმომადგენელმა ზურაბ ბეჟაშვილმა. კომპიუტერული პროგრამების დაცვის სამართლებრივ მექანიზმებზე ისაუბრა „Microsoft საქართველოს“ წარმომადგენელმა მარიამ ვაშაკიძემ, ხოლო საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის თავმჯდომარემ გააკეთა მოხსენება თემაზე: კონტრაფაქციული წიგნები – შავი ბაზრის უარყოფითი ზეგავლენა ავტორებზე, გამომცემლებსა და მომხმარებლებზე.

ღონისძიებაზე, ასევე, მოხსენებებით წარსდგნენ ფარმაცევტული, სამშენებლო და მცენარეთა დაცვის საშუალებების მწარმოებელი კომპანიების წარმომადგენლები, რადგან აღნიშნულ სფეროებში კონტრაფაქციული საქონლის არსებობა განსაკუთრებით სახიფათო და საზიანოა ადამიანის ჯანმრთელობისათვის და ხშირად ფატალურ შედეგებს იწვევს.

საქართველოში „ლე ლაბორატუა სერვიეს“ წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა მაია ხეცურიანმა ისაუბრა ფალსიფიცირებულ მედიკამენტებზე ფარმაცევტულ კომპანიათა ასოციაციის ანალიზისა და „სერვიეს“ გამოცდილების საფუძველზე.

შპს „ჰაიდელბერგცემენტ კაუკასუს”-ის წარმომადგენელმა ირაკლი მახარობლიძემ მიმოიხილა სასაქონლო ნიშნის „ჰაიდელბერგცემენტი“-ს აღსრულების გამოწვევები საქართველოში, ხოლო „ნობლექსის“ დირექტორმა ალექსანდრე ედიბერიძემ მონაწილეებს გააცნო მცენარეთა დაცვისა და სასუქების სფეროში ფალსიფიკაციის სახეები, შედეგები და მათთან ბრძოლის მაგალითები.

კონფერენცია მონაწილეების აქტიური ჩართულობით წარიმართა. გაიმართა დისკუსიები და წამოიჭრა არაერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რაც დამატებით განხილვას და მსჯელობას საჭიროებს.

შემაჯამებელ სიტყვაში საქპატენტის თავმჯდომარემ ნიკოლოზ გოგილიძემ აღნიშნა, რომ საქართველომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა კონტრაფაქციასთან და მეკობრეობასთან ბრძოლის მიმართულებით, თუმცა გასაკეთებელი კიდევ ბევრია არსებული გამოწვევების და პრობლემების დასაძლევად. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სახელმწიფო სტრუქტურების კოორდინირებული მუშაობა, შუამავალთა პასუხისმგებლობის კუთხით კანონმდებლობის დახვეწა, საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და კერძო სექტორის ჩართულობის გააქტიურება.

ღონისძიების ფარგლებში, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატასა და საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ – „საქპატენტს“ შორის თანამშრომლობის შესახებ მემორანდუმი გაფორმდა, რომლის თანახმად მხარეები დაგეგმავენ და განახორციელებენ ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებში ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებით ცნობიერების ამაღლებისაკენ და პოპულარიზაციისაკენ მიმართულ ერთობლივ პროგრამებს. საქპატენტი. ასევე, მონაწილეობას მიიღებს DCFTA-ს პოპულარიზაციის მიზნით, პალატის მიერ ქართველი მეწარმეებისთვის დაგეგმილ შეხვედრებში.

კერძო და საჯარო სექტორის წარმომადგენლები წლის განმავლობაში მიღწეულ პროგრამასა და ახალ გამოწვევებზე მსჯელობას გააგრძელებენ მომავალ ზაფხულს, რიგით მე-3 კონფერენციაზე „საქართველო კონტრაფაქციის წინაღმდეგ 2017“.

სახელი: **„ინტელექტუალური საკუთრების პოლიტიკა უნივერსიტეტებში“**

თარიღი და ადგილი: **1-2 ივნისი, საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო**

ორგანიზატორი: **საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი – „საქპატენტი“, ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია (WIPO)**

რეგიონულ კონფერენციაზე „ინტელექტუალური საკუთრების პოლიტიკა უნივერსიტეტებში“, რომლის მუშაობაშიც მონაწილეობა მიიღეს საქართველოსა და უცხოეთის უნივერსიტეტების, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა და საპატენტო უწყებების წარმომადგენლებმა, ადგილობრივმა და უცხოელმა ექსპერტებმა, იმსჯელეს ინტელექტუალური საკუთრების პოლიტიკის მნიშვნელობაზე უნივერსიტეტებში და წარმატებულ მაგალითებზე.

WIPO-ს წარმომადგენელმა დამსწრე საზოგადოებას გააცნო WIPO-ს მიერ შემუშავებული რეკომენდაციები. კონფერენციაზე, ასევე, ისაუბრეს საქართველოს უნივერსიტეტებსა და აკადემიურ დაწესებულებებში ინტელექტუალური საკუთრების განვითარების მნიშვნელობასა და ინტელექტუალური საკუთრების პოლიტიკის შემუშავების აუცილებლობაზე. მომხსენებელთა შორის იყო თურქეთის საპატენტო უწყების ხელმძღვანელი ჰაბიპ ასანი, რომელმაც ისაუბრა თურქეთის უნივერსიტეტებსა და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში შექმნილ გამოგონებებზე საკუთრების უფლების მოპოვებისა და პატენტის განკარგვის სქემების შესახებ. საქართველოს სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებების წარმომადგენელთათვის განსაკუთრებით საინტერესო იყო ისრაელის, როგორც გამოგონებების სფეროში ერთ-ერთი მოწინავე ქვეყნის, გამოცდილების გაზიარება, სადაც ყველა უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს და ეფექტურად იყენებს ინტელექტუალური საკუთრების პოლიტიკის დოკუმენტს. ღონისძიებაზე, ასევე, განხილულ იქნა რუმინეთის და ჩეხეთის გამოცდილება.

კონფერენციაზე ქართველი მონაწილეების მხრიდან გამოიკვეთა ინტერესი უნივერსიტეტებისათვის და კვლევითი ინსტიტუტებისათვის WIPO-ს მიერ შემუშავებული ინტელექტუალური საკუთრების პოლიტიკის გზამკვლევის ქართულ ენაზე თარგმნის შესახებ, რაზეც WIPO-მ თანხმობა განაცხადა და უახლოეს მომავალში აღნიშნული დოკუმენტი ითარგმნება ქართულადაც.

სახელი: **„ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული სტრატეგიები“.**

თარიღი და ადგილი: **15-16 სექტემბერი, სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტი''.**

ორგანიზატორები: **საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი – „საქპატენტი“, ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია (WIPO)**

რეგიონულ კონფერენციაზე „ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული სტრატეგია“, რომელსაც ესწრებოდნენ სხვადასხვა ქვეყნების ინტელექტუალური საკუთრების უწყებების ხელმძღვანელი პირები, სტრატეგიის შემუშავებაში ჩართული საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტები, სახელმწიფო უწყებების, კერძო სექტორისა და უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლები, იმსჯელეს ქვეყნებისთვის ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული სტრატეგიის შემუშავების მნიშვნელობასა და ეფექტური იმპლემენტაციის წინაპირობებზე. ღონისძიებაზე, ასევე, განხილულ იქნა საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების სტრატეგია, რომელიც შემუშავდა WIPO-ს მხარდაჭერით.

ინგლისელმა ექსპერტმა ისაუბრა ინტელექტუალური საკუთრების ეფექტური სტრატეგიის როლზე ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ ჭრილში. აღნიშნულ საკითხთან

დაკავშირებით, ლატვიის გამოცდილება მონაწილეებს გააცნო ლატვიის საპატენტო უწყების ხელმძღვანელმა სანდრის ლაგანოვსკისმა, ხოლო მოლდოვის გამოცდილებაზე ისაუბრა მოლდოვის რესპუბლიკის საპატენტი უწყების წარმომადგენელმა.

კონფერენციაზე, ასევე, განხილულ იქნა პოლონეთის და სლოვაკეთის გამოცდილება უნივერსიტეტებისა და საჯარო კვლევითი ორგანიზაციების მიერ ინტელექტუალური საკუთრების ეფექტურ მართვასა და გამოყენებასთან დაკავშირებით.

აშშ-ს მთავრობის როლზე საუნივერსიტეტო კვლევების კომერციალიზაციის ხელშეწყობის საქმეში მოხსენება გააკეთა აშშ-ს პატენტებისა და სასაქონლო ნიშნების უწყების პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის იურისტმა მარინა ლამმა.

საქპატენტის თავმჯდომარემ, ინტელექტუალური საკუთრების ბრიტანელ ექსპერტთან და ალბანეთის საპატენტო უწყების წარმომადგენლებთან ერთად, იმსჯელა თემაზე: კონკურენტუნარიანი და ინოვაციური საბაზრო პოზიციების შექმნა და ინტელექტუალური საკუთრების გამოყენება დამატებითი ღირებულების მისაღებად.

კონფერენცია მნიშვნელოვანი იყო გამოცდილების გაზიარების კუთხით, რადგან მასში მონაწილეობდნენ როგორც ქვეყნები, რომლებსაც უკვე შემუშავებული აქვთ ინტელექტუალური საკუთრების სტრატეგია, ისე ის ქვეყნები, რომლებიც ამჟამად მუშაობენ ინტელექტუალური საკუთრების სტრატეგიაზე ან მხოლოდ ახლა გეგმავენ ინტელექტუალური საკუთრების სტრატეგიის შემუშავებას.

კონფერენციის დასასრულს საქართველოს მთავრობის, ბიზნესის, კვლევითი ინსტიტუტებისა და საერთაშორისო ექსპერტების მონაწილეობით გაიმართა დისკუსია. დისკუსიაზე გამოიკვეთა ერთიანი რეგიონული პლატფორმის შემუშავების საჭიროება, სადაც ქვეყნები ერთმანეთს გაუზიარებენ გამოცდილებას ინტელექტუალური საკუთრების სტრატეგიის შემუშავებასთან, ეფექტურ იმპლემენტაციასა და არსებულ გამოწვევებთან დაკავშირებით.

სახელი: **„ბრენდინგის სტრატეგიები“**

თარიღი და ადგილი: **27-28 ოქტომბერი, სასტუმრო „ბილტმორი“**

ორგანიზატორი: **საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი – „საქპატენტი“, ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია (WIPO)**

ქართველი მეწარმეებისა და ფერმერებისთვის საქართველოსა და მსოფლიოს ბაზარზე გეოგრაფიული აღნიშვნით დაცული პროდუქციის უპირატესობების გაცნობის მიზანს ემსახურებოდა კონფერენცია „ბრენდინგის სტრატეგიები“. ღონისძიება, რომელსაც დაესწრო 120-ზე მეტი მეწარმე და ფერმერი საქართველოს ყველა რეგიონიდან, გახსნა WIPO-ს გენერალური დირექტორის მოადგილემ ბინინ ვანგმა, რომელმაც მისასალმებელ სიტყვაში ისაუბრა WIPO-ს როლზე და საქართველოს აღუთქვა მხარდაჭერა ქვეყნისთვის ისეთ მნიშვნელოვან საკითხში, როგორიცაა ქართული პროდუქციის ცნობადობის გაზრდა საერთაშორისო ბაზარზე.

ღონისძიებაზე მისასალმებელი სიტყვით, ასევე, წარსდგნენ საქპატენტის თავმჯდომარე ნიკოლოზ გოგილიძე და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე გიორგი ჩხეიძე, რომელმაც აღნიშნა, რომ ქართული აგრარული პროდუქცია სულ უფრო მეტად მოთხოვნადი ხდება საერთაშორისო ბაზრებზე, რაც ფერმერებისა და მეწარმეებისთვის ახალ შესაძლებლობებს ქმნის. შესაბამისად, კონფერენცია ხელს შეუწყობს ადგილობრივი აგრო ბიზნესის განვითარებას და ქართული პროდუქციის საერთაშორისო ბაზარზე გატანასა და მისი ცნობადობის ამაღლებას.

კონფერენციაზე მოხსენებით წარსდგა WIPO-ს ბრენდებისა და დიზაინების სექტორის დიზაინისა და გეოგრაფიული აღნიშვნების სამართლის განყოფილების უფროსი მარი პოლ რიზო, რომელმაც ისაუბრა ბაზარზე ბრენდების რეპუტაციის და იმიჯის განმსაზღვრელ ფაქტორებზე. იმსჯელა ცნობადი ბრენდისა და სასაქონლო ნიშნის სხვაობაზე და მნიშვნელობაზე საქონელთან მიმართებაში.

საქპატენტის თავმჯდომარის მრჩეველმა დავით გაბუნიამ ისაუბრა გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის პრინციპებსა და მდგომარეობაზე საქართველოში და გააცნო მონაწილეებს საქართველოში მიღწეული შედეგების შესახებ. ასევე, იმსჯელეს სამომავლო გამოწვევებსა და გეოგრაფიული აღნიშვნების სისტემის უპირატესობებზე.

„Maximov & Partners“-ის დირექტორმა ანდრეი მაქსიმოვმა განიხილა ქართული პროდუქციის ექსპორტისთვის საჭირო მარკეტინგული ინსტრუმენტების გამოყენების შედეგები. მონაწილეები კომპანია „ზეარის“ მაგალითზე გაეცნენ პროდუქტის დიზაინისა და შეფუთვის გამოყენებით მიღწეულ წარმატებას, ასევე, მეწარმეთა ასოციაციების როლზე ეფექტური ბრენდინგის სტრატეგიების შემუშავებასა და განხორციელებაში.

კონფერენცია, რომელიც ორი დღე გრძელდებოდა, დასრულდა გეოგრაფიული აღნიშვნების საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია „OriGin“ და „OriGIn – საქართველოს“ შორის სალიცენზიო შეთანხმების ხელმოწერის ცერემონიალით. „OriGIn – საქართველოს“ საქმიანობა ითვალისწინებს საქართველოში გეოგრაფიული აღნიშვნით დაცვადი პროდუქტების გამოვლენას, მათ ინვენტარიზაციას, სპეციფიკაციების დადგენასა და სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფას. „OriGin“ და „OriGIn – საქართველოს“ შორის შეთანხმების მიზანია ფერმერებისა და მეწარმეების დახმარება როგორც ბრენდინგის, მარკეტინგისა და მენეჯმენტის საკითხებში, ისე საერთაშორისო კონტაქტების მოძიებაში.

'16

სასაქონლო ნიშანი

სასაქონლო ნიშანი

საქართველოში სასაქონლო ნიშნების ექსპერტიზის პროცედურის დახვეწისა და სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციასთან დაკავშირებული პროცედურების გამარტივების, ასევე, ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყების (EUIPO) პრაქტიკის დანერგვის მიზნით, საქპატენტმა 2016 წელს განახორციელა შემდეგი ღონისძიებები:

- მოხდა საქპატენტის სასაქონლო ნიშნების მონაცემთა ბაზის ინტეგრირება EUIPO-ს სისტემაში TMview, რაც უცხო ქვეყნის მომხმარებლებს EUIPO-ს ვებგვერდზე საქართველოში რეგისტრირებული ნიშნების შესახებ ინფორმაციის მოძიების საშუალებას აძლევს. გარდა ამისა, ამავე ვებგვერდიდან შესაძლებელია EUIPO-ს მონაცემთა ბაზებში ძიება ქართული ინტერფეისის გამოყენებით. საქპატენტი, ასევე, მიუერთდა TMclass-ის პროგრამას, რომლის საშუალებით შესაძლებელია საქონლისა და მომსახურების ჩამონათვალის ძიება და თარგმნა 42 ენაზე;
- ქართულ ენაზე ითარგმნა ნიცის კლასიფიკატორის მე-11 რედაქცია;
- დაიწყო მოლაპარაკებები WIPO-ს მიერ ადმინისტრირებულ პროგრამაზე – მადრიდის საქონლისა და მომსახურების მენეჯერზე (MGS) საქპატენტის ბაზების მიერთების შესახებ. აღსანიშნავია, რომ MGS-ის გამოყენება უცხოელ განმცხადებლებს გაუადვილებს საქპატენტში სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის პროცედურას;
- გაგრძელდა მუშაობა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონისა და სასაქონლო ნიშნების ინსტრუქციის ცვლილების პროექტზე, მათი თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანისა და ექსპერტიზის პროცედურის დახვეწის მიზნით.

სასაქონლო ნიშნების სფეროში საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით, მომზადდა შემდეგი სამეცნიერო სტატიები:

- ფერი, როგორც სასაქონლო ნიშანი;
- როგორი უნდა იყოს სასაქონლო ნიშანი, რომ დარეგისტრირდეს საქპატენტში;
- ევროკავშირის სასაქონლო ნიშნების ახალი სტრატეგია.

რაც შეეხება განაცხადების რაოდენობას, 2016 წელს, დაფიქსირდა ადგილობრივი განაცხადების 30%-იანი მატება. ამასთან, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ WIPO-ში სასაქონლო ნიშნების ახალ პროგრამაზე გადასვლასთან დაკავშირებით, 2016 წელს საქართველოზე გავრცელების მოთხოვნით შესული 700-ზე მეტი განაცხადი ვერ იქნა დროულად მოწოდებული საერთაშორისო ბიუროში განაცხადების დამუშავებისას დაფიქსირებული პროგრამული ხარვეზის გამო.

სასაქონლო ნიშნების როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო განაცხადებში 2016 წელს, წინა წლის ანალოგიურად, ლიდერობს განაცხადები ფარმაცევტულ პროდუქტებზე (1229), ასევე, განაცხადების დიდი რაოდენობა მოდის რეკლამასა და საოფისე მომსახურებაზე (713). შემოსული განაცხადების დიდი რაოდენობა კვლავ დაფიქსირდა აშშ-დან (373), გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან (304) და თურქეთის რესპუბლიკიდან (296). 2016 წელს, „ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ, მადრიდის შეთანხმების ოქმით“ საქართველოდან საერთაშორისო ბიუროში გავრცელების მოთხოვნით გაგზავნილ 23 განაცხადს მიენიჭა საერთაშორისო რეგისტრაციის ნომერი.

სასაქონლო ნიშანზე ადგილობრივი განაცხადების რაოდენობის მიხედვით წამყვანი კლასებია:

- მე-5 კლასი: ფარმაცევტული, ვეტერინარული, ჰიგიენური ნაწარმი და ა.შ. – 490 განაცხადი;
- 33-ე კლასი: ალკოჰოლიანი სასმელი (ლუდის გარდა) – 252 განაცხადი;
- 35-ე კლასი: რეკლამა; საქმიან სფეროში მართვა და ადმინისტრირება; საოფისე სამსახური – 275 განაცხადი.

სასაქონლო ნიშანზე ადგილობრივი და საერთაშორისო განაცხადების რაოდენობის მიხედვით წამყვანი კლასებია:

- მე-5 კლასი: ფარმაცევტული, ვეტერინარული, ჰიგიენური ნაწარმი და ა.შ. – 1229 განაცხადი;
- 35-ე კლასი: რეკლამა საქმიან სფეროში, მართვა და ადმინისტრირება; საოფისე სამსახური – 713 განაცხადი;
- მე-9 კლასი: ინფორმაციის დასამუშავებელი აღჭურვილობა, კომპიუტერები; კომპიუტერული პროგრამები და ა.შ. – 498 განაცხადი.

ობიექტი: სასაქონლო ნიშანი		შემოსული განაცხადები			რეგისტრირებული ნიშნები		
		2014	2015	2016	2014	2015	2016
ეროვნული პროცედურა	ადგილობრივი	913	1092	1478	474	452	656
	უცხოური	782	722	669	665	639	745
საერთაშორისო პროცედურა		3130	3437	2504	2958	3278	3248
სულ		4825	5251	5354*	4097	4369	4649



* 4651 მიღებული, 703 მონიშნული

'16

გეოგრაფიული აღნიშვნა და ადგილწარმოშობის დასახელება

გეოგრაფიული აღნიშვნა და ადგილწარმოშობის დასახელება

ქართული ადგილწარმოშობის დასახელებებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების საზღვარგარეთ დაცვის, ახალი ადგილწარმოშობის დასახელებებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების გამოვლენის, რეგისტრირებული ადგილწარმოშობის დასახელებებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების სპეციფიკაციების დახვეწისა და განახლებისთვის საჭირო ქმედებების განხორციელების მიზნით, 2016 წელს საქპატენტმა განახორციელა შემდეგი ღონისძიებები:

- საქპატენტისა და სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოს მიერ დაფუძნებულმა ა(ა)იპ „OriGIn – საქართველო“, რომლის საქმიანობა ითვალისწინებს საქართველოში გეოგრაფიული აღნიშვნით დაცვადი პროდუქტების გამოვლენას, ინვენტარიზაციას, სპეციფიკაციების დადგენასა და სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფას, გამოავლინა 130-მდე პოტენციური გეოგრაფიული აღნიშვნა, რომელთა შორისაა: ჯოლხური თხილი, რაჭული ლორი, ხარაგაულის ნიყვი, ჭოპორტის პომიდორი, ლაგოდეხის საზამთრო, ჯოლხური დაფნა, ხელვაჩაურის მანდარინი, ტაბაწყურის სტაფილო, მარნეულის საადრეო კარტოფილი და სხვა.
- ა(ა)იპ „OriGIn – საქართველო“ გახდა გლობალური ალიანსის „OriGIn“-ის წევრი, რამაც საშუალება მისცა დახმარებოდა საქართველოში მოქმედ მეწარმეებს პოტენციური გეოგრაფიული აღნიშვნების გამოვლენასა და მათი მახასიათებლების დადგენაში შემდგომი რეგისტრაციის მიზნით როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ. თანამშრომლობა ითვალისწინებს, ასევე, ქართველი მეწარმეების მხარდაჭერას საერთაშორისო გამოფენებსა და ბაზრობებში მონაწილეობის მისაღებად.
- კომპანია „სანტე ჯი-ემ-თი პროდუქტები“ დარეგისტრირდა გეოგრაფიული აღნიშვნების რეესტრში გეოგრაფიული აღნიშვნის „სულგუნი“ გამოყენების უფლების მქონე პირად. „სულგუნი“ გეოგრაფიულ აღნიშვნად საქპატენტის მიერ რეგისტრირებულია 2012 წელს და მისი გამოყენების უფლება ენიჭება პირს, რომელიც აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. „სანტე ჯი-ემ-თი პროდუქტები“ პირველი კომპანიაა, რომელმაც დააკმაყოფილა „სულგუნის“ სპეციფიკაციით განსაზღვრული მოთხოვნები.
- რუსეთის ფედერაციის ინტელექტუალური საკუთრების ფედერალურ სამსახურში (როსპატენტი) დასრულდა რეგისტრაციის პროცედურა 6 ქართულ ადგილწარმოშობის დასახელებაზე. ხვანჭკარას, ტვიშის, ახაშენის, წინანდალის, მუკუზანის და ქინძმარაულის დასახელებაზე განსაკუთრებული უფლება რუსეთის ტერიტორიაზე მიენიჭა სსიპ „ღვინის ეროვნულ სააგენტოს“, რაც ხელს შეუწყობს რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე ქართული ღვინის აღნიშნული ადგილწარმოშობების დასახელებების უკანონო გამოყენების წინააღმდეგ ბრძოლას.
- ხელი მოეწერა, ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებასა და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების XVII-C დანართსა და XVII-D დანართის B ნაწილში ცვლილებების შეტანის შესახებ შეთანხმებას სოფლის მეურნეობისა და სხვა საკვები პროდუქტების გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა 2012 წლის 1 აპრილს. აღნიშნული შეთანხმების საფუძველზე, ევროკავშირში უკვე დაცული 18 ქართული ღვინის ადგილწარმოშობის დასახელებებთან ერთად მოხდა, დამატებით, სხვა ქართული ადგილწარმოშობის დასახელებებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების, მათ შორის, „სულგუნის“, „ჩურჩხელასა“ და სხვათა დაცვა.
- გეოგრაფიული აღნიშვნების: „აჭარული ჩლეჩილი“, „მეგრული სულგუნი“, „მესხური ჩეჩილი“, „სვანური სულგუნი“, „თუშური გუდა“, „იმერული ყველი“ და „ქართული ყველი“ სარეგისტრაციო მონაცემების სპეციფიკაციებში განხორციელდა ცვლილებები ინგლისურენოვან დასახელებებთან დაკავშირებით. აღნიშნული უზრუნველყოფს სურსათის შესახებ ინფორმაციასთან დაკავშირებით მომხმარებელთა უფლებების დაცვას, მათ შორის, სურსათის ეტიკეტის საშუალებით, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ წერილობით ინფორმირებას სურსათის იმ სპეციფიურ თვისებებზე, რომელიც დაკავშირებულია მის წარმოშობასთან; აგრეთვე, შიდა ბაზრის ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფასა და ექსპორტის ხელშეწყობას.
- ცვლილება შევიდა გეოგრაფიული აღნიშვნის „სულგუნი“ სპეციფიკაციაში, კერძოდ, სულგუნის შემადგენლობაში ცხიმიანობის მაჩვენებლის ცვლილებას (რძის ცხიმიანობა 3,6%-ის ნაცვლად განისაზღვრა 3,2%-ით). აღნიშნული ცვლილებით მოხდა საქპატენტის მიერ რეგისტრირებულ მოთხოვნებთან პროდუქტისა და მის დასამზადებლად გამოყენებული ნედლეულის თვისებების შესაბამისობაში მოყვანა, ვინაიდან 3,6% ცხიმიანობის მქონე ძროხის რძის სტაბილურად მიღება მწარმოებელთა მხრიდან შეუძლებელია სხვადასხვა მიზეზის გამო.

აღსანიშნავია, რომ 2016 წელს გეოგრაფიული აღნიშვნის გამოყენების უფლების მოპოვება მოთხოვნილი იყო ძირითადად ღვინის დასახელებებზე, მათ შორის ლიდერობდა:

- „ქინძმარაული“ და „მუკუზანი“ 5-5 მოწმობა;
- „ახაშენი“, „წინანდალი“ და „ხვანჭკარა“ 4- 4 მოწმობა;
- „გურჯაანი“ – 3 მოწმობა.

„ადგილწარმოშობის დასახელებების დაცვისა და მათი საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ „ლისაბონის შეთანხმების“ შესაბამისად, საქართველოზე გავრცელებულ დასახელებების საქონლის ჩამონათვალში ლიდერობს:

- 29-ე კლასი: ყველი, ხორცპროდუქტები და ზეთისხილის ზეთი – 39 განაცხადი;
- 33-ე კლასი: ღვინო და ალკოჰოლური სასმელები – 9 განაცხადი;
- 31-ე კლასი: ხილი და ბოსტნეული – 7 განაცხადი.

2016 წელს, ლისაბონის შეთანხმებით საქართველოს ტერიტორიაზე ადგილწარმოშობის დასახელებების გავრცელების მოთხოვნით, შემოვიდა თითო განაცხადი ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა მაკედონიიდან, კუბის რესპუბლიკიდან და კოსტა რიკის რესპუბლიკიდან, დანარჩენი კი იტალიის რესპუბლიკიდან (53 განაცხადი).

ობიექტი: გეოგრაფიული აღნიშვნა და ადგილწარმოშობის დასახელება		შემოსული განაცხადები			რეგისტრირებული დასახელებები		
		2014	2015	2016	2014	2015	2016
ეროვნული პროცედურა	გეოგრაფიული აღნიშვნა	0	4	0	0	4	4
	ადგილწარმოშობის დასახელება	5	0	0	0	5	0
საერთაშორისო პროცედურა (ლისაბონის შეთანხმება)		25	64	50	8	33	53
ადგილწარმოშობის დასახელების გამოყენების უფლება		35	52	45	34	47	36



'16

დიზაინი

დიზაინი

საქართველოში დიზაინის სამართლებრივ დაცვასთან დაკავშირებით საზოგადოების ცნობიერების ამაღლების, ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყების (EUIPO) პრაქტიკის დანერგვის, ასევე, განმცხადებელთა და დიზაინის მფლობელთათვის დიზაინის რეგისტრაციასთან დაკავშირებული პროცედურების გამარტივების მიზნით, 2016 წელს საქპატენტმა განახორციელა შემდეგი ღონისძიებები:

- საქპატენტის დიზაინების მონაცემთა ბაზის ინტეგრირება EUIPO-ს ცენტრალიზებულ საძიებო სისტემაში – DesignView, რომელიც საშუალებას აძლევს მომხმარებელს ერთ, უნიკალურ ფორმატში მიიღოს ინფორმაცია სისტემაში ჩართული ეროვნული უწყებების მიერ რეგისტრირებული დიზაინების შესახებ. ამასთან, ქართველ მომხმარებელს შესაძლებლობა მიეცა ძიება ჩაატაროს ქართული ინტერფეისის გამოყენებით, რაც სისტემის გამოყენებას უფრო ხელსაყრელს ხდის;
- ქართულ ენაზე ითარგმნა DesignView-ს საძიებო სისტემის აღწერილობა და სახელმძღვანელო ამ სისტემაში მუშაობის გასაადვილებლად. ასევე, DesignView-ს მოთხოვნებთან შესაბამისობაში იქნა მოყვანილი ლოკარნოს კლასიფიკაციის ქართული თარგმანი;
- მომზადდა ბროშურა დიზაინების სამართლებრივი დაცვის საკითხებზე, რაც საშუალებას მისცემს განმცხადებლებს, პოპულარულ ენაზე გაეცნონ დიზაინის რეგისტრაციის პროცედურასა და დიზაინის სამართლებრივი დაცვის თავისებურებებს.

2016 წელს, ეროვნული პროცედურით შემოსული განაცხადების უმრავლესობა – 98%-მდე, შემოტანილ იქნა ადგილობრივი განმცხადებლების მიერ, რაც მიუთითებს საქართველოს მოსახლეობის განსაკუთრებულ დაინტერესებაზე დიზაინით, როგორც ინტელექტუალური საკუთრების სამართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ობიექტით. აღსანიშნავია, რომ პირველად შემოვიდა განაცხადები ოპტიკური ხელსაწყოების (მე-16 კლასი) და კოსმეტიკური საშუალებების (28-ე კლასი) კლასებში. ასევე, დაფიქსირდა რამდენიმე განაცხადი კვების პროდუქტების, სამკაულების, ნაბეჭდი პროდუქციის, გრაფიკული სიმბოლოების, სავაჭრო და სარეკლამო მოწყობილობების კლასებშიც. დამატებით აღსანიშნავია, რომ თითო განაცხადი დაფიქსირდა სატრანსპორტო საშუალებების, სანათი მოწყობილობების, ავეჯის, მოსაწევი საკუთვნოსა და ელექტრო ენერგიის მისაღები მოწყობილობების კლასებში.

დიზაინების საერთაშორისო კლასიფიკაციის შესაბამისად, შემოსულ ეროვნულ განაცხადებში რაოდენობის მიხედვით წამყვანი კლასებია:

- მე-9 კლასი: ტარა;
- მე-7 კლასი: საოჯახო ნივთები;
- 25-ე კლასი: მშენებლობა.

საერთაშორისო რეგისტრაციის საფუძველზე, მიღებული დიზაინის განაცხადების პრიორიტეტული დაცვის ობიექტებად კვლავ რჩება: საათები, ტარა და საიუველირო ნაწარმი. აღსანიშნავია, რომ ყველაზე მეტი განაცხადი საქპატენტში შემოვიდა შვეიცარიის კონფედერაციიდან (117), იტალიიდან (20) და თურქეთიდან (19). 2016 წელს საერთაშორისო პროცედურით განაცხადები მიღებულ იქნა, ასევე, ამერიკის შეერთებული შტატებიდან და იაპონიიდან, რომლებიც ჰააგის სისტემის ახალი წევრები არიან. 2016 წელს, დიზაინების საერთაშორისო რეგისტრაციის ჰააგის შეთანხმების თანახმად, საქართველოდან საერთაშორისო ბიუროში გაგზავნის მოთხოვნით, საქპატენტში პირველად იქნა შემოტანილი დიზაინის განაცხადები.

ობიექტი: დიზაინი			შემოსული განაცხადები			რეგისტრირებული დიზაინის განაცხადები		
			2014	2015	2016	2014	2015	2016
ეროვნული პროცედურა	ადგილობრივი	იურიდიული პირი	18	20	9	13	12	18
		ფიზიკური პირი	25	33	30	22	29	14
	უცხოური		5	13	2	4	13	4
საერთაშორისო პროცედურა			257	262	232	242	234	231
სულ			**305**	**328**	**273**	**281**	**288**	**267**



'16

გამოგონება

გამოგონება

2016 წელს, ბოლო 6 წლის განმავლობაში პირველად დაფიქსირდა საპატენტო განაცხადების ზრდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების სახელით მიღებული გამოგონებისა და სასარგებლო მოდელის განაცხადების რაოდენობის მნიშვნელოვანი ზრდა. საგრძნობლად გაიზარდა საქართველოს განმცხადებლების მიერ საქპატენტში, როგორც PCT-ის მიმღებ უწყებაში შეტანილი საერთაშორისო განაცხადების რიცხვი. 2015 წელს შემოღებული წინასწარი საპატენტო ძიების სერვისს 2016 წელს აქტიურად იყენებდნენ როგორც უნივერსიტეტები და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, ასევე, სტარტაპები და ფიზიკური პირები (სულ ჩატარდა 82 წინასწარი ძიება), რაც ხელს უწყობს სამეცნიერო-კვლევითი და ინოვაციური საქმიანობის განვითარებას საქართველოში.

2016 წელს გაღრმავდა საქპატენტის თანამშრომლობა შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდთან, კერძოდ:

- საქპატენტმა ჩაატარა წინასწარი საპატენტო ძიება გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსის პროექტებისთვის და მონაწილეობა მიიღო შემფასებელი კომისიის მუშაობაში;
- საქპატენტმა მონაწილეობა მიიღო საქართველოს მეცნიერების, ტექნოლოგიისა და ინოვაციის სისტემის პოლიტიკის საექსპერტო ანალიზის დოკუმენტის განხილვასა (Policy Mix Peer Review of the Georgian STI system) და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადებაში, რომლებიც წარედგინა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს;
- საქპატენტმა მონაწილეობა მიიღო მოსწავლე გამომგონებელთა და მკვლევართა კონკურსის „ლეონარდო და ვინჩის“ კომისიის მუშაობაში. კონკურსის მიზანია ხელი შეუწყოს სწავლის დონის ამაღლებას, ასევე, ინოვაციებისა და ტექნიკური პროგრესის მიმართ მოსწავლეთა ინტერესის გაღვივებას;

2016 წელს გაღრმავდა საქპატენტის თანამშრომლობა, აგრეთვე, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოსთან (GITA). კერძოდ:

- გაიხსნა საქპატენტის წარმომადგენლობა საქართველოს ტექნოლოგიურ პარკში (ტექნოპარკში), რამაც საშუალება მისცა ინოვაციებით დაინტერესებულ პირებსა და ორგანიზაციებს ერთი ფანჯრის პრინციპით მიიღონ ინოვაციებთან დაკავშირებული ყველა სერვისი, მათ შორის, ინტელექტუალური საკუთრების მიმართულებით.
- დამწყები ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის პროექტის „სტარტაპ საქართველოს“ მაღალტექნოლოგიური კომპონენტის გამარჯვებულ პროექტებს ჩაუტარდა წინასწარი საპატენტო ძიება და კონსულტაცია ინტელექტუალური საკუთრების დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე.
- საქპატენტის თავმჯდომარე GITA-ს სხვადასხვა პროექტის მონაწილეთათვის რეგულარულად ატარებდა ტრენინგებს თემაზე: „იდეიდან ინტელექტუალური საკუთრების დაცვამდე“.
- საქპატენტი რეგულარულ რეჟიმში ატარებდა წინასწარ საპატენტო ძიებას ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოდან მიღებულ სხვა პროექტებზე.

2016 წელს საფუძველი ჩაეყარა საქპატენტის თანამშრომლობას სტარტაპების კონკურსთან „Creative Business Cup (CBC) Georgia“. კერძოდ, საქპატენტმა კონკურსში მონაწილე სტარტაპ პროექტებისთვის ჩაატარა წინასწარი საპატენტო ძიება და მონაწილეობა მიიღო შემფასებელი კომისიის მუშაობაში.

ჩატარებული ღონისძიებებისა და გასულ წლებში დაპატენტების საფასურებზე დაწესებული 70%-იანი შეღავათის შედეგად, 2016 წელს 50%-მდე გაიზარდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების სახელით მიღებული გამოგონების განაცხადების რიცხვი. 2%-მდე მატება დაფიქსირდა საერთაშორისო პროცედურით შემოსული გამოგონების განაცხადებზე. საქპატენტში, როგორც PCT-ის მიმღებ უწყებაში, შემოსული PCT განაცხადების რაოდენობაში აღინიშნა 400%-იანი მატება. 3%-მდე მატება დაფიქსირდა სასარგებლო მოდელის განაცხადებზე.

გამოგონებისა და სასარგებლო მოდელის როგორც ეროვნულ, ისე უცხოურ განაცხადებში 2016 წელს ლიდერობს განაცხადები ადამიანის პირველადი მოთხოვნილების საგნებზე (A განყოფილება), ქიმიასა და მეტალურგიაზე (C განყოფილება). წინა წლის მსგავსად ყველაზე მეტი უცხოური განაცხადი შემოვიდა აშშ-სა (54) და იტალიიდან (11). 2016 წელს ლიდერთა სიას შეემატა, ასევე, იაპონიაც (19).

გამოგონებაზე ეროვნული განაცხადების რაოდენობის მიხედვით წამყვანი განყოფილებებია:

- A განყოფილების დარგები: პირველადი მოთხოვნილების საგნები – 29 განაცხადი;
- B განყოფილება: ტექნოლოგიური პროცესები – 15 განაცხადი;
- C განყოფილება: ქიმია, მეტალურგია – 13 განაცხადი.

გამოგონებაზე უცხოური განაცხადების რაოდენობის მიხედვით წამყვანი განყოფილებებია:

- C განყოფილება: ქიმია; მეტალურგია – 86 განაცხადი;
- A განყოფილების დარგები: პირველადი მოთხოვნილების საგნები – 66 განაცხადი;
- B განყოფილება: ტექნოლოგიური პროცესები – 13 განაცხადი.

სასარგებლო მოდელზე ეროვნული განაცხადების რაოდენობის მიხედვით წამყვანი განყოფილებებია:

- A განყოფილების დარგები: პირველადი მოთხოვნილების საგნები – 32 განაცხადი;
- B განყოფილება: ტექნოლოგიური პროცესები – 10 განაცხადი;
- E განყოფილება: მშენებლობა; სამთო საქმე – 8 განაცხადი.

ობიექტი: გამოგონება				შემოსული განაცხადები			რეგისტრირებული პატენტები		
				2014	2015	2016	2014	2015	2016
ეროვნული პროცედურა	ადგილობრივი	იურ. პირი	უნივერსიტეტები	4	17	25	5	3	19
			დანარჩენი	6	2	6			
		ფიზ. პირი		100	79	65	53	58	39
	უცხოური			8	2	4	11	14	7
საერთაშორისო პროცედურა				179	171	174	139	131	112
სულ				297	271	274	208	206	177
PCT განაცხადები/საქპატენტი – მიმღები უწყება				3	3	15			



ობიექტი: სასარგებლო მოდელი				შემოსული განაცხადები			რეგისტრირებული პატენტები		
				2014	2015	2016	2014	2015	2016
ეროვნული პროცედურა	ადგილობრივი	იურ. პირი	უნივერსიტეტები	0	6	6	3	3	6
			დანარჩენი	5	0	7			
		ფიზ. პირი		45	54	54	42	36	31
	უცხოური			1	3	1	1	1	1
საერთაშორისო პროცედურა				0	5	2	0	1	0
სულ				51	68	70	46	41	38



'16

ახალი ჯიშები

ახალი ჯიშები

მცენარეთა და ცხოველთა ახალი ჯიშების დაცვის მექანიზმის სრულყოფისა და პოპულარიზაციის მიზნით, 2016 წელს საქპატენტმა განახორციელა შემდეგი ღონისძიებები:

- ადგილობრივი სელექციონერების დახმარების მიზნით, ქართულ ენაზე ითარგმნა UPOV-ის სახელმძღვანელოები (გაიდლაინები) „მოცვის (Vaccinium corymbosum L.) და ქერის (Hordeum vulgare L.) ახალი ჯიშების მიმართ მოთხოვნები და გამოცდის მეთოდები განსხვავებულობაზე, ერთგვაროვნებასა და სტაბილურობაზე“, რაც დახმარებას გაუწევს ადგილობრივ სელექციონერებს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ძირითად კრიტერიუმებზე გამოცდის ჩატარებაში;
- საქპატენტის წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო UPOV-ის ტექნიკური კომიტეტის – ხეხილოვანი კულტურების სამუშაო ჯგუფის 47-ე სესიის მუშაობაში, რომელზეც განიხილებოდა გაიდლაინების პროექტი ხეხილოვანი კულტურების ახალი ჯიშების ძირითად კრიტერიუმებზე გამოსაცდელად;
- გაგრძელდა მუშაობა კანონპროექტზე: „გენეტიკურ რესურსებსა და მასთან დაკავშირებულ ტრადიციულ ცოდნაზე ხელმისაწვდომობა და მათი გამოყენებით მიღებული სარგებლის სამართლიანი და თანაბარი განაწილება“, რომელიც მზადდება აგრობიომრავალფეროვნების სტრატეგიული გეგმის 2014-2020 – წლების ფარგლებში და მიზნად ისახავს ქართული გენოფონდის გამოყენებას და სარგებლის მართლზომიერ განაწილებას;
- ახალი ჯიშების დაცვის სისტემაში სიახლეების გაცნობის მიზნით, მომზადდა პრეზენტაცია თემაზე: „ბიოქიმიური მარკერების გამოყენების ახალი მეთოდები ჯიშთა იდენტიფიცირებისათვის“, რასაც საფუძვლად დაედო UPOV-ის ბიოქიმიური და მოლეკულური ტექნოლოგიების სამუშაო ჯგუფის მე-15 სესიის ანგარიში;
- სელექციური მიღწევების თემაზე ცნობიერების ამაღლების მიზნით, მომზადდა საინფორმაციო ხასიათის 22 დაიჯესტი.

აღსანიშნავია, რომ გატარებული ღონისძიებების შედეგად, 2016 წელს მცენარეთა და ცხოველთა ახალ ჯიშებზე შემოსული განაცხადების რაოდენობამ გასულ წელთან შედარებით მოიმატა 100%-ით. ერთმანეთს გაუთანაბრდა ადგილობრივი და უცხოური განაცხადების რაოდენობა, 53%-მდე გაიზარდა იურიდიული პირების განაცხადები, ამასთან, 2015 წლისგან განსხვავებით, განაცხადები შემოვიდა, ასევე, ადგილობრივი იურიდიული პირებისაგანაც. აღსანიშნავია, რომ 2016 წელს შემოსული განაცხადები გამოირჩევა კულტურების ასორტიმენტით. საქპატენტში პირველად შემოვიდა განაცხადი ატმის (9), მსხლის (6), ბლის (4), ნექტარინის (2) და ნივრის (1) ახალ ჯიშებზე. საანგარიშო პერიოდში გამოიცა მცენარეთა და ცხოველთა ახალი ჯიშების დაცვის ოფიციალური ბიულეტენის 10 ნომერი.

ობიექტი: მცენარეთა და ცხოველთა ახალი ჯიშები		შემოსული განაცხადები			რეგისტრირებული ჯიშები		
		2014	2015	2016	2014	2015	2016
ადგილობრივი	იურიდიული პირი	1	0	10	3	1	15
	ფიზიკური პირი	15	9	14	9	5	22
უცხოური	იურიდიული პირი	45	15	13	15	42	10
	ფიზიკური პირი	0	0	11	0	0	0
სულ		**61**	**24**	**48**	**27**	**48**	**47**



'16

საავტორო უფლებები

საავტორო უფლებები

2016 წელს, საქართველოში საავტორო და მომიჯნავე უფლებების სამართლებრივი დაცვის მნიშვნელობაზე, საზოგადოების ცნობიერების ამაღლების კუთხით, საქპატენტმა განახორციელა შემდეგი ღონისძიებები:

- აშშ-ს მთავრობის, აშშ-ს სავაჭრო სამართლის განვითარების პროგრამის (CLDP) და აშშ-ს პატენტებისა და სასაქონლო ნიშნების უწყების (USPTO) დახმარებით, საჯარო სამსახურებისა და კერძო სექტორის წარმომადგენლებისთვის ჩატარდა სამუშაო შეხვედრა, სადაც განიხილეს აშშ-ს კანონმდებლობა, მიდგომები და პრაქტიკული მაგალითები „ინტერნეტ სერვის პროვაიდერების პასუხისმგებლობის შესახებ“;
- TAIEX-ის პროგრამის ფარგლებში, საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობისა და საქპატენტის ორგანიზებით, გაიმართა ერთდღიანი სამუშაო შეხვედრა „ინტერნეტ სერვის პროვაიდერების პასუხისმგებლობის შესახებ“, საჯარო სამსახურებისა და კერძო სექტორის წარმომადგენლებისთვის, რომლებიც გაეცნენ ევროკავშირის კანონმდებლობას, მიდგომებსა და გამოცდილებას „ინტერნეტ სერვის პროვაიდერების პასუხისმგებლობის შესახებ“. შეხვედრაზე განიხილეს ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სფეროში არსებული დარღვევები და საავტორო უფლებების აღსრულების სამართლებრივი ინსტრუმენტები. პრაქტიკულ მაგალითებზე დაყრდნობით, იმსჯელეს ინტერნეტ მეკობრეობასთან ბრძოლის მექანიზმებსა და ინტერნეტ სერვის პროვაიდერთა პასუხისმგებლობაზე;
- მომზადდა ბროშურა საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ, რაც საშუალებას მისცემს დაინტერესებულ პირებს პოპულარულ ენაზე გაეცნონ ინტელექტუალური საკუთრების აღნიშნული ობიექტის სამართლებრივი დაცვის მექანიზმებს.

საანგარიშო წელს, 2015 წელთან შედარებით, 45%-ით გაიზარდა დეპონირებული ობიექტების რაოდენობა. დეპონირებების უმრავლესობა ეხებოდა ლიტერატურასა და მეცნიერებას.

ობიექტი	კატეგორია	2014	2015	2016
ლიტერატურა	ანთოლოგია	-	1	-
	აღწერილობა	3	-	1
	დრამატურგიული ნაწარმოები	-	1	-
	თარგმანი	1	3	5
	კრებული	4	4	4
	ლიტერატურული ნაწარმოები	32	33	52
	მონოგრაფია	-	-	1
	სინოფსისი	4	5	9
	სცენარი	40	23	49
	შედგენილი ნაწარმოები	-	4	12
	წიგნი	20	-	-
მეცნიერება	კომპიუტერული პროგრამა	18	11	9
	მეთოდური ნაშრომი	32	13	46
	მიმოხილვა	-	1	-
	სამეცნიერო ნაშრომი	33	27	48
	სამეცნიერო სტატია	2	9	6
	სამეცნიერო-მეთოდური ნაშრომი	16	14	25
	სახელმძღვანელო	-	4	16
	შედგენილი ნაწარმოები	-	6	-
მონაცემთა ბაზა	მონაცემთა ბაზა	3	2	1
	ცნობარი	3	-	-
ხელოვნება	ადაპტაცია	1	-	-
	არქიტექტურული პროექტი	16	16	4
	აუდიო-ვიზუალური ნაწარმოები	9	5	13
	აღწერილობა	1	-	-
	დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება	3	-	4
	დიზაინი	3	8	9
	დრამატურგიული ნაწარმოები	-	-	1
	ესკიზი	5	4	1
	თეატრალურ-დეკორატიული ხელოვნება	1	4	1
	კრებული	1	-	-
	ლოგო	1	4	6
	მულტიმედიური ნაწარმოები	-	1	19
	მუსიკალური არანჟირება	1	-	-
	მუსიკალური ნაწარმოები	13	12	-
	მუსიკალური ნაწარმოები ტექსტით	17	15	14
	სახვითი ხელოვნების ნაწარმოები	9	16	2
	ტელეფილმი	1	-	-
	ფერწერა	3	1	-
	ფოტოგრაფია	1	5	2
	ქანდაკება	-	-	1
	წიგნი	2	-	2
სულ		299	252	363



კანონშემოქმედება და სამართალწარმოება/ 2016

კანონმდებლობის შემდგომი დახვეწისა და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, 2016 წელს საქპატენტის მიერ მომზადდა შემდეგი საკანონმდებლო ცვლილებების პროექტები:

- „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე;
- „საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე;
- „საქართველოს საპატენტო კანონში“ ცვლილების შეტანის თაობაზე;
- „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე.

აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებების პროექტების შემუშავების პროცესში, საქპატენტის მიერ შეიქმნა სამუშაო ჯგუფები, რომლებშიც საქპატენტის თანამშრომლებთან ერთად, აქტიურად იყვნენ ჩართულები საქართველოს პატენტრწმუნებულები. კანონპროექტების განხილვის მიზნით, სამუშაო შეხვედრები გაიმართა, ასევე, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრებთან.

ცვლილებების პროექტები მიზნად ისახავს მოქმედი კანონმდებლობის ევროკავშირის ქვეყნების საკანონმდებლო ნორმებთან შემდგომ ჰარმონიზებას, არსებული ნორმების სამართლებრივ გამართვასა და დახვეწას, ასევე, გარკვეული სამართლებრივი ურთიერთობების საკანონმდებლო დონეზე დარეგულირებას. ამასთან, აღნიშნული ცვლილებების განხორციელების შედეგად კანონმდებლობა გახდება უფრო მოქნილი, როგორც განმცხადებლებისათვის, ისე საქპატენტის ექსპერტებისათვის. ცვლილებები ძირითადად მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონში მნიშვნელოვანი ობიექტის – სასერტიფიკაციო ნიშნის შემოღებასა და მისი რეგისტრაციის წესისა და პირობების განსაზღვრას, აგრეთვე, გარკვეული პირობების გათვალისწინებით, ცალკე აღებული ფერის სასაქონლო ნიშნად რეგისტრაციის შესაძლებლობას;
- „საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის შესახებ“ საქართველოს კანონში რეგისტრირებული ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის პროდუქტის წარმოებაზე/გამოყენებაზე სახელმწიფო კონტროლის მექანიზმის განსაზღვრას, საქონლის სპეციფიკაციის ძირითად ელემენტებს და მასში ცვლილებების შეტანის პირობებს; დაცული ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის სიმბოლოს საქონელზე დატანის ვალდებულებას, ადგილწარმოშობის დასახელებაზე ან გეოგრაფიულ აღნიშვნაზე განსაკუთრებული უფლების დარღვევისას დაცვის სამართლებრივი მექანიზმების განსაზღვრასა და, ასევე, ფორმალური და არსობრივი ექსპერტიზების ჩატარების წესის დაზუსტებას.
- „საქართველოს საპატენტო კანონში“ განაცხადზე საპატენტო ექსპერტიზის, განაცხადის გამოქვეყნებისა და საპატენტო ექსპერტიზის გადაწყვეტილებების გასაჩივრების მარეგულირებელი ნორმების დახვეწას და ახლებურად დარეგულირებას, რაც მიზნად ისახავს ევროპის საპატენტო კონვენციასთან ჰარმონიზებას, ასევე, კანონის ტექსტში არსებული ხარვეზების გასწორებასა და ზოგიერთი მუხლის ფორმულირების დახვეწას;
- „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონში შუალედური მომსახურების მიმწოდებლების პასუხისმგებლობის საკითხის განსაზღვრას საავტორო, მომიჯნავე და მონაცემთა ბაზის დამამზადებლის უფლებების დამრღვევი ქმედებებისათვის, ასევე, პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძვლებს. აღნიშნული ცვლილებების პროექტი საქპატენტის მიერ მომზადდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ შემუშავებული „ელექტრონული კომერციის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის საფუძველზე, რაც უკავშირდება DCFTA-ს შეთანხმების ფარგლებში აღებულ ვალდებულებებს და მნიშვნელოვანია ინტერნეტ სივრცეში საავტორო და მომიჯნავე უფლებების ეფექტურად აღსრულებისათვის.

2016 წელს სააპელაციო პალატაში შემოსული დავების უმრავლესობა (149), კვლავ სასაქონლო ნიშნებზე ექსპერტიზის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს ეხებოდა. გასული წლების მსგავსად, 2016 წელს შენარჩუნდა სააპელაციო საჩივრების რაოდენობის კლების ტენდენცია და 2015 წელთან შედარებით შეადგინა 7%. 35%-მდე შემცირდა დაკმაყოფილებული საჩივრების რაოდენობა, ხოლო 20%-მდე – ნაწილობრივ დაკმაყოფილებული საჩივრების რაოდენობა, რაც, გარკვეულწილად, მიუთითებს საქპატენტის ექსპერტთა კვალიფიკაციის ზრდასა და, შესაბამისად, ექსპერტიზის ხარისხის გაუმჯობესებაზე. კლების ტენდენცია აისახა 2016 წელს სააპელაციო პალატისა და ექსპერტიზის გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით საქპატენტის წინააღმდეგ სასამართლოში შესული სარჩელების რაოდენობაზეც. კერძოდ, გასულ წელთან შედარებით 20%-ით ნაკლები (24 სარჩელი) სარჩელი იქნა შეტანილი სასამართლოებში.

2016 წელს საქპატენტი მონაწილეობდა 29 სასამართლო განხილვაში, აქედან 28 ეხებოდა სასაქონლო ნიშანს, ხოლო 1 გამოგონებას. დავების უმრავლესობა (25) გადაწყდა საქპატენტის სასარგებლოდ, საქპატენტის მიმართ სარჩელი დაკმაყოფილდა მხოლოდ 4 შემთხვევაში.

ობიექტი		2014					2015					2016				
		მიღებული	განხილული	დაკმაყოფილებული სრულად	დაკმაყოფილებული ნაწილობრივ	უარი ეთქვა	მიღებული	განხილული	დაკმაყოფილებული სრულად	დაკმაყოფილებული ნაწილობრივ	უარი ეთქვა	მიღებული	განხილული	დაკმაყოფილებული სრულად	დაკმაყოფილებული ნაწილობრივ	უარი ეთქვა
გამოგონება	განმცხადებელი	4	5		1	6	1	1			1	1	1			1
	III პირი															
სასარგებლო მოდელი	განმცხადებელი	1					1	1			1					
	III პირი											1	1	1		
დიზაინი	განმცხადებელი	1	1				-	-				1				1
	III პირი	2	2			1	4	-								
სასაქონლო ნიშანი	განმცხადებელი	181	165	75	13	77	132	138	82	11	54	127	113	48	11	53
	III პირი	17	18	1	2	15	28	23	4	5	14	22	22	6	1	16
სულ		**206**	**191**	**76**	**16**	**99**	**166**	**163**	**86**	**16**	**70**	**152**	**137**	**55**	**12**	**70**

საზოგადოებასთან ურთიერთობა, საგამომცემლო და საინფორმაციო საქმიანობა/ 2016

ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სფეროში საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით, საქპატენტმა 2016 წელს განახორციელა შემდეგი ღონისძიებები:

- მოეწყო პოტენციური გეოგრაფიული აღნიშვნების გამოფენა-დეგუსტაცია, რომელიც გაიმართა კონფერენციის „ბრენდინგის სტრატეგიები“ ფარგლებში. კონფერენციის მონაწილეებს წარედგინათ 2016 წელს გამოვლენილი 130 პოტენციური გეოგრაფიული აღნიშვნა, რომელთა შორისაა: ტყემალი, კოლხური თხილი, რაჭული ლორი, ხარაგაულის ნიყვი, ჭოპორტის პომიდორი, ლაგოდეხის საზამთრო, კოლხური დაფნა, ხელვაჩაურის მანდარინი, ტაბაწყურის სტაფილო, მარნეულის საადრეო კარტოფილი და სხვა. სპეციალურად ღონისძიებისთვის მომზადდა და მონაწილეებს დაურიგდათ პოტენციური გეოგრაფიული აღნიშვნების რუკები.

- გავრცელდა საინფორმაციო ბროშურა საქართველოში ინტელექტუალური საკუთრების უფლებების აღსრულების შესახებ, ასევე, მომზადდა სპეციალური გადაცემა, რომელიც გადაიცა ერთ-ერთი ეროვნული მაუწყებლის ეთერით. გადაცემა მიზნად ისახავდა კერძო სექტორის ცნობიერების ამაღლებას ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვის სფეროში არსებული სიახლეებისა და გამოწვევების, ასევე, DCFTA-ს შეთანხმების ფარგლებში მომზადებული ინტელექტუალური საკუთრების უფლებების აღსრულებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ. აღნიშნული ღონისძიებები განხორციელდა საერთაშორისო კონფერენციის ფარგლებში – „საქართველო კონტრაფაქციის წინააღმდეგ DCFTA-ს კონტექსტში“.

- გამოიცა ბროშურა „სასაქონლო ნიშანი თქვენი ბიზნესის წარმატებისთვის“, რომელიც მიზნად ისახავს ბიზნეს-სექტორის წარმომადგენელთა ცნობიერების ამაღლებას სასაქონლო ნიშნის, როგორც ინტელექტუალური საკუთრების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ობიექტის რეგისტრაციის აუცილებლობასა და მისგან მიღებული სარგებლის შესახებ. ბროშურა გავრცელდა სსიპ იუსტიციის სახლის მეშვეობით, რადგან მიზნობრივ ჯგუფს წარმოადგენს ყველა ის მომხმარებელი, ვინც არეგისტრირებს ბიზნესს იუსტიციის სახლში.
- განმცხადებლებისთვის პოპულარულ ენაზე მომზადდა და გავრცელდა საინფორმაციო ფურცლები ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების (სასაქონლო ნიშანი, დიზაინი, გამოგონება, სასარგებლო მოდელი და ახალი ჯიშები) საქპატენტში რეგისტრაციის პროცედურის მოთხოვნათა და, ასევე, საქპატენტის საქმიანობის შესახებ.

- მომზადდა და გავრცელდა ბროშურები: სასაქონლო ნიშანი, გეოგრაფიული აღნიშვნა, დიზაინი, გამოგონება და სასარგებლო მოდელი, ახალი ჯიშები და საავტორო უფლებები, რაც საშუალებას მისცემს დაინტერესებულ პირებს პოპულარულ ენაზე გაეცნონ ინფორმაციას აღნიშნული ობიექტების შესახებ.

2016 წელს საქპატენტმა, ასევე, გამოსცა შემდეგი რეგულარული გამოცემები:

- „სამრეწველო საკუთრების ოფიციალური ბიულეტენის“ 24 ქართული და ინგლისურენოვანი ნომრები (№№1(438)-24(460).
- „მცენარეთა და ცხოველთა ახალი ჯიშების დაცვის ოფიციალური ბიულეტენის“ 10 ნომერი (№№1(31)-10(40) ქართულ და ინგლისურ ენებზე.

საგამომცემლო განყოფილებაში მომზადდა გამოგონებებისა და სასარგებლო მოდელების აღწერილობები და რეფერატები, მათ შორის საერთაშორისო CD ROM დისკებზე განსათავსებლად. 2016 წელს სულ მომზადდა 375 პატენტის აღწერილობა.

2014-2018 წლების სამოქმედო გეგმაში განსაზღვრული საგამომცემლო საქმიანობის განვითარებისა და დარგობრივი ლიტერატურის გამოცემის ხელშეწყობის მიზნით, 2016 წელს საქპატენტში გამოიცა:

- მეორე განახლებული გამოცემა „საერთაშორისო საავტორო სამართალი“ – წიგნი I (ავტორები – დავით გაბუნია და გიორგი თაქთაქიშვილი), რომელშიც მოცემულია ბერნის კონვენციის, რომის კონვენციისა და TRIPS შეთანხმების მუხლობრივი კომენტარები.
- „საერთაშორისო საავტორო სამართალი“ – წიგნი II (ავტორი – დავით გაბუნია), რომელშიც მოცემულია ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის „საავტორო უფლებების შესახებ“ და „შესრულებებისა და ფონოგრამების შესახებ“ ხელშეკრულებების კომენტარები. ორივე წიგნი განკუთვნილია საერთაშორისო საავტორო სამართლის თანამედროვე მიდგომებისა და გამოწვევებით დაინტერესებული პირებისთვის.

- IV-VI კლასის მოსწავლეებისთვის განკუთვნილი ზღაპრები: „კომპასი“, „დორემიუს სოლასი“, „სარეცხი მანქანა“, „ვარსკვლავ-სანთლები“, „ქოლგა“ (ავტორი – ირმა მალაციძე). აღნიშნული წიგნები წარმოადგენს საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტთან (USAID/G-Pried) თანამშრომლობით შექმნილ კლასგარეშე საკითხავ ლიტერატურას ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების შესახებ.

ზემოთ აღნიშნული გამოცემები შეემატა საქპატენტის ბიბლიოთეკას. მნიშვნელოვანია, რომ ბიბლიოთეკაში არსებული დარგობრივი ლიტერატურა უფასოდაა ხელმისაწვდომი ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის, ვისაც სურს საპატენტო ინფორმაციის მოპოვება ან ცოდნის გაღრმავება ინტელექტუალური საკუთრების სფეროში.

2016 წელს საპატენტო ინფორმაციის ფონდის მომსახურებით ისარგებლა 1100-ზე მეტმა პირმა. ფონდის გასამდიდრებლად კი განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- შეძენილ იქნა ინტელექტუალური საკუთრების სფეროს მსოფლიოში ცნობილი ექსპერტების ავტორობით შექმნილი 60 ახალი წიგნი;
- ინტელექტუალური საკუთრების სასწავლო ცენტრის პროექტის ფარგლებში, WIPO-ს დახმარებით საქპატენტის ბიბლიოთეკის ფონდი შეივსო 45 წიგნით;
- აღდგა პერიოდული გამოცემის „WIPR World Intellectual Property Review“-ს გამოწერა და გაგრძელდა „IP World“ და “Managing IP”-ს გამოწერა;
- გაგრძელდა საპატენტო ბიბლიოთეკის პროექტზე – PATLIB მუშაობა, რომელიც ითვალისწინებს ფასიან მონაცემთა ბაზებზე და არასაპატენტო ლიტერატურაზე უფასო წვდომას საქპატენტის ბიბლიოთეკის მომხმარებელთათვის.

2016 წელს საქპატენტში შემოვიდა 5320 განაცხადი გამოგონებაზე, სასარგებლო მოდელზე, დიზაინზე, სასაქონლო ნიშანსა და გეოგრაფიულ აღნიშვნაზე. ფაილინგ ჯგუფის მიერ, 2016 წელს ჯამში დამუშავდა 17000-მდე დოკუმენტი.

ობიექტი		2014	2015	2016
გამოგონება		297	285	273
სასარგებლო მოდელი		51	54	70
დიზაინი	ეროვნული	48	66	41
	საერთაშორისო	257	262	232
სასაქონლო ნიშანი	ეროვნული	1695	1814	2149
	საერთაშორისო	3130	3437	2460
გეოგრაფიული აღნიშვნები და ადგილწარმოშობის დასახელებები	საერთაშორისო	25	64	50
	გამოყენების უფლება	35	52	45
სულ		5538	6034	5320
კორესპონდენცია		13671	10986	11436

საქპატენტის საქმიანობის ფინანსური უზრუნველყოფის, რესურსებისა და საბიუჯეტო პროცესის მართვის, ასევე, შესყიდვების ორგანიზების ეფექტიანად განხორციელების მიზნით, 2016 წელს საქპატენტმა მიაღწია ქვემოთ მოცემულ შედეგებს და განახორციელა შემდეგი აქტივობები:

- ფულადი სახსრების ხარჯვით ნაწილში, ბიუჯეტით განსაზღვრულ გეგმასთან შედარებით, მიღწეული იქნა 14.78%-ის ეკონომია, არაფინანსური აქტივების ზრდის ეკონომიის ხარჯზე.
- საკასო შემოსავლები, წინა წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით, გაიზარდა 8.6%-ით, რაც განპირობებულია ინტელექტუალური საკუთრების სფეროში ცნობადობის ამაღლების კუთხით ჩატარებული ღონისძიებებით.
- სახელმწიფო შესყიდვების კანონის შესაბამისად, განხორციელდა გამარტივებული შესყიდვები (363 ხელშეკრულება ღირებულებით 565801 ლარი), გამარტივებული ელექტრონული ტენდერები (25 ხელშეკრულება მთლიანი ღირებულებით 358970 ლარი) და კონსოლიდირებული ტენდერი (7 ხელშეკრულება ჯამური ღირებულებით 69721 ლარი). აღნიშნული შესყიდვებით მიღებულ იქნა 41023 ლარის ეკონომია.
- ფინანსური სახსრებიდან 38600 ლარი მიმართულ იქნა ა(ა)იპ „OriGIn-საქართველოს“ დაფინანსებაზე, რომლის საქმიანობა ითვალისწინებს საქართველოში გეოგრაფიული აღნიშვნით დაცვადი პროდუქტების გამოვლენას, მათ ინვენტარიზაციას, სპეციფიკაციების დადგენასა და სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფას.
- თანამშრომლების თანამდებობრივი სარგოდან ყოველთვიურად გადაირიცხა თანხები „სოლიდარობის“, „დიმიტრი ცინცაძის სახელობისა“ და „ევროპა დონა ჯორჯიას“ საქველმოქმედო ფონდებში.

2016 წელს, საქპატენტის მიერ ოპერატიულად და სრულად იქნა მიწოდებული ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) მიერ მოთხოვნილი ფინანსური მონაცემები, რისთვისაც უწყებას უკვე მეორედ გადაეცა სპეციალური ჯილდო „2016 წელს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისათვის“.

ბიუჯეტის შემოსავლები (საკასო მაჩვენებლები)

ათასი ლარი

#	შემოსულობის დასახელება	დაზუსტებული გეგმა	საკასო შემოსავალი	საბიუჯეტო სახსრები	სულ შემოსავალი	შედეგი +/-
1	**შემოსავლები ძირითადი საქმიანობიდან**	**9242,8**	**9242,8**	**0,0**	**9242,8**	**0,0**
1,1	შემოსავლები არარეზიდენტი ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის გაწეული მომსახურებიდან	0,0	5739,8	0,0	5739,8	0,0
1,2	შემოსავალი რეზიდენტი ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის გაწეული მომსახურებიდან	0,0	3503,0	0,0	3503,0	0,0
2	**შემოსავლები არაძირითადი საქმიანობიდან**	**580,0**	**1036,2**	**0,0**	**1036,2**	**456,2**
2,1	მისაღები გრანტები	580,0	587,7	0,0	587,7	7,7
2,2	დადებითი საკურსო სხვაობა	0,0	448,5	0,0	448,5	448,5
შემოსულობების ჯამი		**9822,8**	**10279,0**	**0,0**	**10279,0**	**456,2**

ბიუჯეტის გადასახდელები (საკასო მაჩვენებლები)

ათასი ლარი

ეკონომიკური კლასიფიკაციის კოდი	დასახელება	დაზუსტებული გეგმა	საკუთარი სახსრები	საბიუჯეტო სახსრები	სულ გადახდა	შედეგი +/-
21,0	**შრომის ანაზღაურება**	**3310,9**	**3266,4**	**0,0**	**3266,4**	**-44,5**
მათ შორის:						
21111,0	თანამდებობრივი სარგო	0,0	2172,5	0,0	2172,5	0,0
21113,0	პრემია	0,0	719,9	0,0	719,9	0,0
21114,0	დანამატი	0,0	374,0	0,0	374,0	0,0
22,0	**საქონელი და მომსახურება**	**2650,4**	**2040,9**	**0,0**	**2040,9**	**-609,5**
26,0	**გრანტი**	**205,0**	**38,6**	**0,0**	**38,6**	**-166,4**
27,0	**სოციალური უზრუნველყოფა**	**72,8**	**71,0**	**0,0**	**71,0**	**-1,8**
28,0	**სხვა ხარჯები**	**2355,4**	**2087,4**	**0,0**	**2087,4**	**-268,0**
282115,0	მ.შ. კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადები	0,0	2010,9	0,0	2010,9	0,0
31,0	**არაფინანსური აქტივები**	**492,6**	**240,4**	**0,0**	**240,4**	**-252,2**
33,0	**ვალდებულებების კლება**	**20,0**	**16,5**	**0,0**	**16,5**	-3,5
გადასახდელების ჯამი		**9107,1**	**7761,2**	**0,0**	**7761,2**	**-1345,9**



სტატისტიკური მონაცემები/ 2016

სასაქონლო ნიშანი

შემოსული განაცხადების რაოდენობა	
პროცედურა	**რაოდენობა**
ეროვნული/ადგილობრივი	1478
ეროვნული/უცხოური	669
საერთაშორისო	2504
სულ	**4651**



შემოსული განაცხადების რაოდენობა ქვეყნების მიხედვით	
კოდი	**რაოდენობა**
GE	1478
US	373
DE	304
TR	296
CN	237
RU	219
CH	196
IT	149
FR	140
JP	105
სულ	**3500**



შემოსული განაცხადების რაოდენობა კლასების მიხედვით	
კლასი	**რაოდენობა**
5	1304
35	915
9	644
30	604
3	496
33	401
29	296
41	273
32	241



რეესტრში შეტანილი ნიშნების რაოდენობა	
პროცედურა	**რაოდენობა**
ეროვნული/ადგილობრივი	656
ეროვნული/უცხოური	745
საერთაშორისო	3248
სულ	**4649**



რეესტრში შეტანილი ნიშნების რაოდენობა ქვეყნების მიხედვით	
კოდი	**რაოდენობა**
GE	656
US	572
RU	329
CH	325
DE	316
TR	314
CN	223
HU	203
FR	185
IT	180
სულ	**3303**



რეესტრში შეტანილი ადგილობრივი ნიშნების რაოდენობა კლასების მიხედვით	
კლასი	**რაოდენობა**
35	192
33	132
5	97
30	77
43	69
29	56
32	45
36	45
41	40



რეესტრში შეტანილი ადგილობრივი განაცხადების რაოდენობა კლასების მიხედვით	
კლასი	**რაოდენობა**
5	1102
35	741
9	599
3	485
30	451
25	338
33	322
41	307
42	271



საერთაშორისო რეგისტრაციით (მადრიდის ოქმი) გავრცელებული ადგილობრივი ნიშნები		
N	**ნიშანი**	**მფლობელი/განმცხადებელი**
1299987	*კომბინირებული ნიშანი*	შპს „ვაზიანი კომპანი“
1304108	B BADAGONI GEORGIA	შპს „ბადაგონი“
1304109	BADAGONI	შპს „ბადაგონი“
1304604	Arabesque	ნინო ანანიაშვილი
1304746	LIPARTIANI	შპს „მეღვინეობა ხარება“
1304750	*კომბინირებული ნიშანი*	საქართველოს რაგბის კავშირი
1305309	NABEGHLAVI GEORGIAN NATURAL MINERAL WATER	სს „წყალი მარგებელი“
1307779	Gamarjoba	შპს „კახური ტრადიციული მეღვინეობა-აგრო-ჩოხატაური“; ლეონარდო ბერაია
1309689	Georgian Ornament	სს „თბილღვინო“
1312427	aksakal	შპს „კახური ტრადიციული მეღვინეობა“
1312681	Vismino	მარუსია ბევერეჯის ბ.ვ.
1316815	BLACK EYES	შპს „შალვინო“
1318230	99 VODKA	შპს „ჯ ჯ ალკო“
1323790	AQUA GEO GEORGIAN WATER	შპს „აქვა გეო“
1325758	Bialoni	შპს „ქართული ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების კომპანია“
1325809	Old Tbilisi	შპს „ქართული ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების კომპანია“
1327655	GWS Georgian Wines & Spirits	შპს „ქართული ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების კომპანია“
1330045	MARABDA	შპს „ალკოჰოლური სასმელების კომპანია ალავერდი“
1332039	*კომბინირებული ნიშანი*	სს „სარაჯიშვილი“
1333809	IVERIONI	სს „სარაჯიშვილი“
1334149	BATONO	შპს „ბატონო“
1339872	COLOURS of GEORGIA	მარუსია ბევერეჯის ბ.ვ.

გეოგრაფიული აღნიშვნა და ადგილწარმოშობის დასახელება

შემოსული განაცხადების რაოდენობა	
პროცედურა	**რაოდენობა**
ეროვნული/გეოგრაფიული აღნიშვნა	0
ეროვნული/ადგილწარმოშობის დასახელება	0
საერთაშორისო (ლისაბონის შეთანხმება)	50
ადგილწარმოშობის დასახელების გამოყენების უფლება	45
სულ	**95**



შემოსული განაცხადების რაოდენობა კლასების მიხედვით	
კლასი	**რაოდენობა**
27	13
29	11
30	1
31	8
32	1
33	15



საერთაშორისო პროცედურით (ლისაბონის შეთანხმება) შემოსული განაცხადების რაოდენობა ქვეყნებისა და კლასების მიხედვით		
კოდი	**კლასი**	**რაოდენობა**
IR	27	13
IR	31	2
IT	29	11
IT	30	1
IT	31	6
IT	32	1
IT	33	15



რეესტრში შეტანილი გეოგრაფიული აღნიშვნებისა და ადგილწარმოშობის დასახელებების რაოდენობა კლასების მიხედვით	
კლასი	**რაოდენობა**
29	2
30	1
31	1



რეესტრში შეტანილი განაცხადების რაოდენობა გამოყენების უფლებაზე დასახელებების მიხედვით	
ადგილწარმოშობის დასახელება და გეოგრაფიული აღნიშვნა	**რაოდენობა**
მუკუზანი	5
ქინძმარაული	5
ახაშენი	4
წინანდალი	4
ხვანჭკარა	4
გურჯაანი	3
ჭაჭა	2
ტვიში	1
კახეთი	1
მანავი	1
საირმე	1
ნაბეღლავი	1
ვაზისუბანი	1
კახეთი (კახური)	1
ნაფარეული (წითელი)	1
სულგუნი	1



საერთაშორისო პროცედურით (ლისაბონის შეთანხმება) რეესტრში შეტანილი ადგილწარმოშობის დასახელებებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების რაოდენობა ქვეყნებისა და კლასების მიხედვით		
კოდი	**კლასი**	**რაოდენობა**
CR	29	1
CU	33	1
IT	29	36
IT	30	2
IT	31	7
IT	33	8
MK	14	1



დიზაინი

შემოტანილი განაცხადებისა და საქართველოზე დაცვის გავრცელების მოთხოვნით მიღებული საერთაშორისო რეგისტრაციების რაოდენობა	
პროცედურა	**რაოდენობა**
ეროვნული/ადგილობრივი/იურ. პირი	9
ეროვნული/ადგილობრივი/ფიზ. პირი	30
ეროვნული/უცხოური	2
საერთაშორისო	232
სულ	**273**



შემოსული ადგილობრივი განაცხადების რაოდენობა კლასების მიხედვით	
კლასი	**რაოდენობა**
9	14
32	4
25	4
7	3
20	2
11	2
1	2
19	2
12	1
16	1
13	1
6	1
28	1
31	1
27	1
26	1



რეესტრში შეტანილი ნიშნების რაოდენობა	
პროცედურა	**რაოდენობა**
ადგილობრივი	12
უცხოური	13
საერთაშორისო	234
სულ	**288**



შემოსული საერთაშორისო განაცხადების რაოდენობა კლასების მიხედვით	
კლასი	**რაოდენობა**
1	4
2	9
3	10
7	6
8	1
9	29
10	99
11	25
12	4
13	3
14	3
16	3
19	1
21	4
22	1
23	2
24	3
25	9
26	3
28	3
32	10



რეესტრში შემოტანილი ადგილობრივი განაცხადების რაოდენობა კლასების მიხედვით	
კლასი	**რაოდენობა**
11	2
9	9
25	3
32	2
20	1
19	4
27	1
10	1
26	1



გამოგონება

შემოსული განაცხადების რაოდენობა	
პროცედურა	**რაოდენობა**
ეროვნული/ადგილობრივი/ იურ.პირი/უნივერსიტეტები	25
ეროვნული/ადგილობრივი/ იურ.პირი/სხვა	6
ეროვნული/ადგილობრივი/ ფიზ.პირი	65
ეროვნული/უცხოური	4
საერთაშორისო	174
სულ	**274**
PCT განაცხადები/ საქპატენტი — მიმღები უწყება	**15**



შემოსული ადგილობრივი განაცხადების რაოდენობა დარგების მიხედვით	
დარგი	**რაოდენობა**
A	29
B	15
C	13
D	0
E	12
F	10
G	9
H	8



შემოსული უცხოური განაცხადების რაოდენობა დარგების მიხედვით	
დარგი	**რაოდენობა**
A	66
B	13
C	86
D	0
E	6
F	2
G	3
H	2



შემოსული განაცხადების რაოდენობა ქვეყნების მიხედვით	
კოდი	**რაოდენობა**
GE	96
US	54
JP	19
DE	5
FR	8
IT	11
GB	4
TR	9
NL	7
სხვა	**61**
სულ	**274**



რეესტრში შეტანილი პატენტების რაოდენობა	
პროცედურა	**რაოდენობა**
ეროვნული/ადგილობრივი/ იურ.პირი	19
ეროვნული/ადგილობრივი/ ფიზ.პირი	39
ეროვნული/უცხოური	7
საერთაშორისო	112
სულ	**177**



ძალადაკარგული პატენტების რაოდენობა	
პროცედურა	**რაოდენობა**
ეროვნული/ადგილობრივი	119
ეროვნული/უცხოური	22
საერთაშორისო	213
სულ	**354**



სასარგებლო მოდელი

შემოსული განაცხადების რაოდენობა	
პროცედურა	**რაოდენობა**
ეროვნული/ადგილობრივი/ იურ.პირი/უნივერსიტეტები	6
ეროვნული/ადგილობრივი/ იურ.პირი/სხვა	7
ეროვნული/ადგილობრივი/ ფიზ.პირი	54
ეროვნული/უცხოური	1
საერთაშორისო	2
სულ	**68**



შემოსული ადგილობრივი განაცხადების რაოდენობა დარგების მიხედვით	
დარგი	**რაოდენობა**
A	32
B	10
C	7
D	0
E	8
F	3
G	4
H	3



რეესტრში შეტანილი პატენტების რაოდენობა	
პროცედურა	**რაოდენობა**
ეროვნული/ადგილობრივი/ იურ.პირი	6
ეროვნული/ადგილობრივი/ ფიზ.პირი	31
ეროვნული/უცხოური	1
საერთაშორისო	0
სულ	**38**



ახალი ჯიშები

შემოსული განაცხადების რაოდენობა	
განმცხადებელი	**რაოდენობა**
ადგილობრივი/იურ.პირი	10
ადგილობრივი/ფიზ.პირი	14
უცხოური/იურ.პირი	13
უცხოური/ფიზ.პირი	11
სულ	**48**



შეტანილი განაცხადების რაოდენობა კულტურების მიხედვით	
ჯიში	**რაოდენობა**
ატამი	9
თუთის აბრეშუმხვევია	6
მსხალი	6
ლობიო	4
ნექტარინი	4
ვაშლი	2
მუხუდო	2
ბალი	4
ცერცველა	2
ხახვი	1
სოია	1
ხორბალი	1
ნიორი	1
კარტოფილი	1
ტრიტიკალე	1
გარგარი	1
შვრია	1
მიწის ჭიაყელა	1



რეესტრში შეტანილი განაცხადების რაოდენობა	
განმცხადებელი	**რაოდენობა**
ადგილობრივი/იურ.პირი	15
ადგილობრივი/ფიზ.პირი	22
უცხოური/იურ.პირი	10
უცხოური/ფიზ.პირი	0
სულ	**47**



რეესტრში შეტანილი განაცხადების რაოდენობა კულტურების მიხედვით	
ჯიში	**რაოდენობა**
ნუში	2
ჟოლო	1
მარწყვი	2
კარტოფილი	10
თუთის აბეშუმხვევია	14
მოცვი	13
ხორბალი	2
მაშა ლობიო	2
ბროკოლი	1
სულ	**47**



სამოქმედო გეგმა/ 2017

- ექსპერტების კვალიფიკაციის ამაღლება (EUIPO, EPO, USPTO/CLDP)
- ტრენინგები/სამუშაო შეხვედრები მოსამართლეების, იურისტებისა და ჟურნალისტებისთვის (CLDP)
- ინტელექტუალური საკუთრების კურსის ჩატარება მცირე და საშუალო ბიზნესის, მკვლევარების, მეცნიერების, ადვოკატების, პატენტრწმუნებულების, მოსწავლეებისა და თანამშრომლებისთვის
- WIPO-ს აკადემიასთან ერთად დისტანციური სწავლების კურსის (DL-101 – General Course on Intellectual Property) ქართულ ენაზე თარგმნა და ქართულენოვანი მომხმარებლისთვის შეთავაზება
- WIPO-ს აკადემიასთან ერთად გეოგრაფიულ აღნიშვნებზე პროფესიული განვითარების რეგიონული პროგრამის ჩატარება
- მასწავლებლების გადამზადება გამომგონებლობის სწავლებაში (WIPO)
- WIPO-ს პუბლიკაციების თარგმნა და გამოცემა
- ინტელექტუალური საკუთრების სფეროში ქართველი და უცხოელი ავტორების წიგნების ქართულ ენაზე გამოცემა
- ინტელექტუალური საკუთრების სტრატეგიის შემუშავება სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისათვის
- გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის საკითხებზე ფერმერთა, მწარმოებელთა, მომხმარებელთა, სახელისუფლებო სტრუქტურების წარმომადგენელთა ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა (OriGIn – საქართველო)
- საქართველოს რეგიონებში პოტენციური გეოგრაფიული აღნიშვნების გამოვლენა და მათი სამართლებრივი დაცვის ხელშეწყობა (OriGIn – საქართველო)
- გეოგრაფიული აღნიშვნით დაცული პროდუქციის დადგენილ სპეციფიკაციებთან შესაბამისობის მრავალდონიანი კონტროლის სისტემის ჩამოყალიბებაში მონაწილეობა (OriGIn – საქართველო)
- გეოგრაფიული აღნიშვნების გარშემო ფერმერთა და მეწარმეთა გაერთიანებების შექმნაში მონაწილეობა და მათ საქმიანობაში ბრენდინგის თანამედროვე ფორმების დამკვიდრების ხელშეწყობა (OriGIn – საქართველო)
- EFTA-ს წევრ ქვეყნებთან გეოგრაფიული აღნიშვნების ურთიერთდაცვის შესახებ შეთანხმებების გაფორმებაზე მოლაპარაკებები
- კონფერენციის ჩატარება თემაზე: „ბრენდინგის თანამედროვე მექანიზმები“ (WIPO)
- კონფერენციის ჩატარება თემაზე: „საქართველო კონტრაფაქციის წინააღმდეგ“
- სასაქონლო ნიშნების და დიზაინების ახალი ინსტრუქციების შემუშავება (EUIPO)
- საკანონმდებლო ცვლილებებზე მუშაობა
- WIPO-ს უფლებების აღსრულების კომიტეტზე მოხსენება „საქართველოში ინტელექტუალური საკუთრების უფლებების აღსრულების შესახებ“
- EUIPO-ს დავების განმხილველ საბჭოსთან თანამშრომლობა
- EPO-სთან მოლაპარაკებები ვალიდაციის ხელშეკრულებაზე
- EPO-ს წევრ ქვეყნებთან ორმხრივი შეხვედრები
- სასაქონლო ნიშნების საერთაშორისო ასოციაციის (INTA) ყოველწლიურ შეხვედრაში მონაწილეობა
- განაცხადების შეტანის ელექტრონული სისტემის სრულყოფა (USAID)

სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების
ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ პოლიგრაფია
0179, თბილისი, საქართველო, ნ. რამიშვილის ქ. №31
ტელ.: +995 32 2252533, info@sakpatenti.org.ge